

K 37.499  
2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

თავისუფალი  
საქართველო

კ. ვ. ჯ. 2



საქართველო  
საბჭოთავო

საქართველო


საქართველო  
კლკლე

კ 37. 499  
2



თქვენი  
თქვენი

საქართველო  
თქვენი  
1.9.6.9



სსკგ-2000  
შემოწმებულია

ალექსი ნიჩოს ძე ვოგუა დაიბადა 1932 წ. თბილისის რაიონის სოფელ ვოფში.

1960 წელს ა. ვოგუამ დაამთავრა მ. ვორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი. 1958 წელს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მისი მოთხრობების კრებული — „მდინარე ზღვისკენ ისწრაფვის“; შემდეგ — მოთხრობების კრებული — „რატომ იზრდება ბაღახი“, რომანი „შარაფანდი“ და სხვა.

1960 წელს გამომცემლობა „მოდოლია ვეარდიანი“ გამოაქვეყნა ა. ვოგუას მოთხრობების კრებული.

ქართველი მკითხველი ა. ვოგუას იცნობს კრებით „თეთრი ცხენი“.

თარგმნა

მედი ნიქარაძე

## თ ე თ რ ი ც ხ ე ნ ი

**ს**ოფლის გასადევიარზე ხეხილის ბაღში წაბლის დაბალი სახლი მოჩანს. ეზოს გარს უკლის ვაზის ლერწებისაგან შეკრული ღობე, მთიდან დაქანებული პატარა მდინარე ზედ ჭიშკართან ჩაუდის კარ-მიდამოს.

მწვანეში ჩაფლული სახლის ფანჯრები ცეცხლივით ვიწვინებენ დაისის მზეზე. მთიდან მხოლოდ გამოხუნებული ფიქალი სახურავის დანახვა შეიძლება.

პარმალის სვეტებზე ჯვირნებისა და ბებერი ჯიხვების ვეება, თითქოს საგანგებოდ დაგრეხილი რქები ჰკიდია, წაბლის ფიცრებს ჟამთასვლაში ქარვისფერი დასდებია და ახლა ასე ვეგონება, კედლებში მზის სინათლე ჩამდგარათ.

დღე არ გაივლის, იმ სახლში ვინმე მგზავრმა არ შეუხვითოს, სტუმრისათვის იქ ყოველთვის მოიძებნება ყველი და მჭადი, ღვინო და ალერსიანი სიტყვა; მერე სტუმარს ჭიშკრამღე მიაცილებენ და გზას დაულოცავენ.

„ბედნიერი ოჯახია!“ — ფიქრობს მადლიერი მგზავრი, მიდის და მიაქვს სიკეთით სავსე გული.

მაგრამ ხალხი ტყუილად როდი ამბობს: სხვამ რაციის, ჩემს გულს რა ეკალი სჩხვლეტსო!

...ომამდე არსანა ახუბას ბადალი არა ჰყავდა სოფელში, როგორც მოჯირითეს. შავი, ბრილა თვალები, კეხიანი ცხვირი და კონტად დაყენებული უღვაში მარილსა მატებდა ისედაც წარმოსადეგ არსანას.

არც ერთი მარულა ისე არ ჩაივლიდა, რომ მისი ცხენი პირველი არ მისულიყო ცხრამუხასთან, სადაც სარბენი მანძილი შთავრდებოდა.

— ერთი უყურეთ არსანა ახუბას, ხანი ვერ მოერიო! — ამბობდნენ აპრილის ტყემლებივით გათეთრებული ბერიკაცები.

არსანას ვაჟი ახრა ნამდვილი ასლი იყო მამისა, მასავით ახოვანი და მხრებგაშლილი. ხასიათიც მისი ჰქონდა. როდესაც მამა-შვილი საზაფხულო იალაღებზე საქონელს ვარეკავდნენ, უცნობ მწყემსებს ისინი ღვიძლი ძმები ევონათ.

განთქმული მონადირე და მოჯირითე არსანა ახუბა ხშირად იტყოდა ხოლმე: ახრა ერთ რამეში მაინც მჯობნის, წიგნი ისწავლა და კოლმეურნეობის ბეითალი ვახდაო.

დაიწყო ომი. მამა-შვილი ფრონტზე ერთად წავიდნენ, მაგრამ შინ მარტო არსანა დაბრუნდა.

შუაღამისას, როდესაც ოჯახში ქალები დაიძინებდნენ, არსანა შვილის საწოლთან მივიდოდა და მის ბალიშში თავს ჩარგავდა. ტიროდა? არა, მისი ტირილი

არავის გაუგონია... მერე წამოდგებოდა, ახრას ქამარ-  
ხანჯალს დახედავდა, შვილის ბოხოსს გულში ჩაიხ-  
ტებდა და ჩუმად იტყოდა:

— ახრა, დად! რატომ შენ გაყრია გულზე ომის შავი  
მიწა და არა მე? მე ჩემი კალო უკვე გავლევ, შენ კი  
ახლა იწყებდი ცხოვრებას, შვილო!  
ახრა, დად!

წვიმდა. შემოდგომისაგან შეყვითლებული ხეები,  
როგორც ბელურები ავდარში, გზის პირას აბურძგვნი-  
ლნი იდგნენ და ნელა ირხეოდნენ. არსან ახუბა და მისი  
ცოლი ხიფაფი შუაცეცხლთან ისხდნენ. დროდადრო თი-  
თო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს.

თეთრად აქაფებული წვერ-ულვაში დარდისაგან  
დაღმეჯილ ბაგეს უმაღავედა არსანას. ცოლისაკენ არ  
იხედებოდა, მისი გული ვეღარ უძლებდა ხიფაფის ჩა-  
ღამებულ თვალებს. გარეგნულად ცოლ-ქმარი დამშვი-  
დებული ჩანდა. აუჩქარებლად საუბრობდნენ ოჯახურ  
წვრილმანებზე. მაგრამ ორივეს გულში ახლა ერთი და  
იგივე ცეცხლი ტრიალებდა. ერთსა და იმავე ფიქრებს  
წაელო მათი გულისყური.

„ბებერ თხმელებზე შავი იზაბელა უკვე დამწიფდა.  
ვეება მტევნები მკრეფელს ეძახიან, ახრა, დად!“

არსანა თვალებზე ხელს იფარებს, იქნებ როგორმე  
თავიდან მოიშოროს ეს მოლანდება.



ახრა, დად! — იძახიან თხმელიდან შავი ბი... — საქორწილო თასებს ღვინო სწყურიათ.

გასცქერის არსანა ჯიხვების დაგრეხილ რქებს და მოგონების ბურანში ეხვევა.

ერთხელ მამა-შვილი სანადიროდ წავიდა მთაში.

გათენებისას ჯვირნებს წააწყდნენ. არსანამ ბოხოხს ბეწვი მოაცილა და ჰაერში გაუშვა, ნიავის მიმართულე-ბა რომ გაეგო. ბეწვმა თავზე გადაუარა არსანას. ახრა თამამად წავიდა ჯვირნებისაკენ და კლდეს მოეფარა.

არსანა განაბული ელოდა, მაგრამ შვილის თოფის ხმა იგვიანებდა. „შეიძლება თოფმა უმტყუნა“, — გაიფიქრა მამამ, რომ უეცრად ახრა საფარიდან გამოვიდა და ხმამაღლა დაუსტვინა.

ჯვირნები თვალის დახამხამებაში აღვილიდან მოსწყდნენ და კლდეებში მიიმაღნენ.

არსანა სახტად დარჩა.

— რა მოხდა, ბიჭო? — ჰკითხა ახრას.

— ოჯახი იყო, მამავ! დედალს უკვე სავსე ჰქონდა ჯიქანი, მუცელი ისე ჩამოსწოდა, საცაა მოიგებს, მშვიდად სძოვდა, მამალი კი შორიახლო იდგა და ჰაერს ყნოსავდა. ვერ ვესროლე, — თავი იმართლა ახრამ.

არსანამ მხოლოდ ჩაიცინა.

— ამათაც იციან, შვილო, სიყვარული!

...წვიმამ გადაიღო, ზღვიდან წამოსულმა ქარმა ღრუბელი გაჰფანტა, მზემ გამოიხედა.

არსანას შინ გული არ დაუდგა. კვლიდან აღვირი ჩამოიღო და ცოლს უთხრა:

— წავალ, თეთრას მოვძებნი... — ეზოდან რომ გა-

ვიდა, ცოტა ხანს ბოგირთან შეხერდა. ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო.

ფოთლებიდან ბრჭყვიალა წვეთები ცვიოდნენ.

გზაზე დამდგარ გუბეებს ჭავლი უვლიდა. წვიმამ თვალში გამოახედა შემოდგომის პირს მიმჭნარი ბაღაჩი.

არსანამ მდინარისაკენ გაუხვია. ხეობიდან ყრუ გუგუნი ისმოდა, — ეტყობოდა, მდინარე მოდიდებულებო.

...ის თეთრი ცხენი ახრამ გამოზარდა.

იმ საღამოს, როდესაც ისინი ომში მიდიოდნენ, თეთრა დიდი კაკლის ძირში ბაღაჩობდა. ახრამ კვიცს კისერზე ხელები მოხვია და მის თავს ლოყა მიაღო, მერე შუბლზე აკოცა და წავიდა.

კვიცმა ჭიხვინი დაადევნა.

იმ დღის შემდეგ თეთრა არავის იკარებდა. ვაჭყიურდა. ხშირად მთელი კვირა მინდორ-ველად დაშლივინებდა და როდესაც სახლს მოაკითხავდა, კაკლის ძირში მივიდოდა და დიდხანს ყნოსავდა იმ ადვილს, სადაც ცხენი და პატრონი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

— ახრა, დად! — ამოიკვნესებდა უბედური დედის გული და თეთრას კისერზე მოეფერებოდა.

ერთხელ ზიფაფმა შეამჩნია, თეთრას ფაფარი ვიდაცას საგანგებოდ დაეწნა.

— ნეტავ ვინ შეიხვია ცხენი! — გაუკვირდა ზიფაფს. ცხენი გულმოდგინედ შეათვალიერა, მაგრამ მის ზურგზე უნაგირის კვალც ვერ იპოვა.

„ალბათ ტყეში ეშმაკებმა თუ დაუწნეს, — გაიფიქრა ზიფაფმა. — აკი ამბობენ, ეშმაკებს ცხენის ფაფართან თამაში უყვართ“.

-- ცუდი ამბავია!

— კარგი, ქალო! ცხენმა ლაპარაკი არ იცის კიდეც არაფერი არ დაგვინახავს! ცუდი რატომ უნდა იფიქრო! — ამშვიდებდა არსანა ელდანაცემ ცოლს.

დაბერდა თეთრი ცხენი. კისერზე ნაკეცები დააყარა, მაგრამ ჯერ კიდევ ტოლს არავის უღებდა.

...არსანა ფონში გავიდა და მიიხედ-მოიხედა. მის წინ გაშლილი ჭალა იყო. ხელმარცხნივ წიფლნარი მოჩანდა. ჭალის ბოლოში მეტყევეის ოდა იდგა.

მეტყევეს შინას ეძახდნენ. წყნარი, გულჩახვეული კაცი იყო შინა, რაც უნდა გაჭირვებოდა, იშვიათად თუ ვისმეს შეაწუხებდა.

ისმორდა შაშვების ჭანჭახი, ნაწვიმარზე ბალახი ისე ბრწყინავდა, თითქოს ზედ აღმასის საყურეები ეკიდა. პაერი სუფთა იყო და კრიალა.

უეცრად არსანამ ტყის პირას თეთრა დაინახა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცოცხალი ცხენი კი არა, ვერცხლის ქანდაკება იდგა.

არსანამ შუბლზე ხელისგული მოიჩრდილა, ტყისპირს დააკვირდა. ეს ვინ არის, ცხენის კისერს რომ ეხვევა, ნუთუ ხიფაფი მართალია?! არა, თვალი არ ატყუებს არსანას. მან კარგად გაარჩია — ცხენის დახრილ თავთან პატარა ბიჭი იდგა და თეთრას უშიშრად ეხვეოდა.

„პირდაპირ სასწაულია, ჩემი თეთრა ხბოსავით თვი-ნიერი გამხდარა!“

არსანა აჩქარდა. ფეხის ხმაზე ცხენმა ყურები ცქვიტა და თავი მოაბრუნა, მაგრამ პატრონი იცნო და უმალვე დაწყნარდა.



ბიჭი დაფრთხა, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი ვადაწია და მოახლოებულ არსანას აღმაცერად გადახედდა.

— ვისი ხარ, დად? — ჰკითხა არსანამ.

— ცხენი არ წამართვა! — ბიჭმა ცრემლი ჩუმად გადაყლაპა და ჯიუტად დაუმატა, — ეს ჩემი ცხენია.

— კარგი, დად, შენი იყოს, არ გართმევ. — გაუცინა არსანამ და თავზე ხელი გადაუსვა.

ბიჭუნას გული მიეცა.

— დიდი რომ ვავიზრდები, ჯირითში ყველას ვაჯობებ, — თქვა მან.

— ყოჩალი ბიჭი ხარ, გეტყობა. — არსანამ ბავშვის წინ ჩაიმუნლა და მხარზე ხელი მოხვია.

— ვისი შვილი ხარ, დად?

— შინასი.

— ამ ცხენის არ გეშინია, ბიჭო, ასე ახლო რომ მისულხარ! რომ დაგამარცხოს?

— არა, ძალიან წყნარია, — მკვირცხლად მიუგო ბიჭუნამ და ისე თამამად შეხედა თვალებში არსანას, რომ, ვტყობოდა, წელანდელი შიში სრულიად გაქრობოდა.

— შენ თუ გეშინია, მე დაგიჭერ ცხენს! მე და დედაჩემი ყოველდღე მოვდივართ მასთან და სიმიანდს ვაჭმევთ, დედასაც ძალიან უყვარს ეს ცხენი. იცი, რას მეუბნება? დიდი რომ გახდები, შენ ამ თეთრ ცხენზე უნდა შეჯდე და ყველას უნდა გაუსწრო ჯირითშიო.

მოხუც არსანას კარგად ახსოვს შინას მეუღლე. ახრა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც იგი ყველაზე ლამაზ და სანატრულ პატარძლად ითვლებოდა ახლომახლო სოფლებში.

— კიდევ რას გეუბნება, ბიჭო, დედაშენი?

— რასა და... ეს თეთრი ცხენი ერთ ძალღმობს  
ლად კაცს უყვარდაო! ჯირითში ის მუდამ პირველი  
იყო... მე, იცი, რა ვუთხარი! მალე გავიზრდები და  
მეც იმასავით ვულადი ვიქნები-მეთქი! დედამ მაკოცა,  
მერე დაჯდა და ტირილი დაიწყო! მე არ მიტი-  
რია...

არსანამ ცხენს შეხედა და უეცრად თვალწინ დაუდ-  
გა მივიწყებული სურათი: შებინდებისას ახრა თეთ-  
რას შეკაზმავდა და მეზობელ სოფელს მიაშურებდა...  
სად მიდიოდა? ალბათ ამ ლამაზ გოგოს შეხვდებოდა  
სადმე გზის პირას, ალვის ხეებთან.

არსანა ხედავს, როგორ ეფერება მათი ხელები  
თეთრას ღონიერ კისერს და ამ ეფერებაში ქალ-ვაჟი  
თითქოს ერთმანეთს ეაღერებდა.

დაიწყო ომი და ახრა სოფელს გამოეთხოვა. ობ-  
ლად დარჩენილი ცხენი უთუოდ ხშირად მიაკითხავდა  
ნაცნობ ადგილს. მას იქ დახვდებოდა თვალცრემლიანი  
ქალი, თავს თავზე მიადებდა თეთრას და ვინ იცის, რო-  
მელი რომელს ანუგეშებდა.

— შემსვი ცხენზე, — უთხრა ბიჭუნამ და არსანას  
ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

მოხუცმა ბავშვს ხელი მოხვია და თეთრას ზურგზე  
შეასკუპა. ოდესღაც არსანამ ასევე შესვა ცხენზე თავი-  
სი პატარა ახრა. შესვა და დალოცა, კარგი ცხენოსანი  
და მოჯირითე დამდგარიყო.

ცხენი დაიძრა. მოხუცმა ბიჭუნას მკლავზე ხელი  
მოჰკიდა და გვერდით გაჰყვა. უცქერდა მის გაბრწყინე-



ბულ პირისახეს და მოხუცის თავში ტკბილმწარე რები ირეოდნენ.

ცოტაზე გაიარეს, გაისეირნეს, მერე ბიჭი ცხენიდან ჩამოხტა.

— შინ უნდა წავიდე, დედა შელოდება. — და უცრად დიდი კაცივით ჰკითხა: — ეს ცხენი შენია?

— ჩემია, დად. რად შეკითხები?

ბიჭი ერთხანს ჩუმად იდგა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა. მერე არსანას მორცხვად გაუღიმა და სთხოვა:

— იცი, რა? თეთრას ნუ დააბამ, მოვიდეს ჩვენთან, თორემ დედა იტირებს.

— კარგი, დად, არ დავაბამ, გინდა, სულ გაჩუქებ. დიდი რომ ვაიზრდები, ატარჩას ხელს დაავლებ და უნაგირზე შეფრინდები.

არსანას ხმა უკანკალებდა.

— ატარჩა რა არის? — ჰკითხა ბიჭმა.

— ატარჩა?.. როგორ ვითხრა... ჯირითის დაწყებამდე ერთ-ერთი ცხენოსანი რაიმე ნიშანს — ატარჩას, მაგალითად, თამბაქოს ქისას ხელში დაიჭერს და ცხენს გააქროლებს. დანარჩენები უკან გამოუდგებიან, ცდილობენ ატარჩა წაართვან, ბიჭობა ის არის, ნიშანი ბოლომდე მიიტანო! გაიგე?

— გავიგე. — თავი დაუქნია ბიჭმა. — მე ვერავინ წამართმევს ატარჩას.

— რა გქვია, დად?

ამ დროს ჭალიდან ძახილი მოისმა:

— ახრა-ა-ა!

— ახრა? შენ ახრა გქვია? — ჰკითხა ელდანაცემმა არსანამ.



— ახრა. — დაუდასტურა პატარამ, — უნდა დედა მეძახის.

— წადი, დად, — არსანამ პატარას ლოყაზე აკოცა და ზურგზე ხელი წაჰკრა. — წადი, თორემ დედა ძებნას დავიწყებ.

— ახრა-ა-ა! — ისევ მოისმა ჭალიდან.

— მოვდივარ! — გასძახა ბიჭმა.

— არ დამივიწყო, დად! გესმის? მოდი ჩემთან.

— მოვალ, — სიტყვა მისცა ახრამ და ჭალისაკენ მოუსვა.

არსანამ დიდხანს უცქირა მიმავალ ბიჭუნას. მერე უეცრად მოეჩვენა, რომ იგი, არსანა, ვითომ ახალგაზრდაა და აგერ, ბალახებში მისი შვილი, პატარა ახრა მიცუნცულებს. საიდანღაც შორიდან ქალის ხმა ისმის, შვილს ეძახის! ღმერთო ჩემო, რამდენი ალერსია ამ ძახილში, ამ ერთ სიტყვაში: „ახრა“.

მირბის ბიჭუნა მზისაგან გახასხასებულ მინდორზე, მიიჩქარის, თითქოს უნდა მზესთან მიირბინოს და ხელები მოხვიოს, როგორც წელან ცხენის კისერს ეხვეოდა.

მინდორში ჩანჩქერივით თეთრი ცხენი ღვას და ნელი ჭიხვინით მიაცილებს თავის პატარა პატრონს.

არსანა ახუბას სახლიდან წასული სტუმარი სანამ სერს გადაივლიდეს, მალლიდან გადმოხედავს მასპინძლის კარ-მიღამოს.

მოაგონდება იმ სახლში მიღებული პატივისცემა, ორი ტკბილი მოხუცი და პატარა ბიჭი, რომელსაც ოდესღაც ვანთქმული მოჯირითე არსან ახუბა ცხენზე ჯდომას ასწავლის.

## ჩ ა უ ქ რ ო ბ ე ლ ი ც ე ც ხ ლ ი

ზ ამთრის ცივი დღეა.  
მოაჯირის მომწვანო  
ბეტონს ხმაურით ეხეთ-

ქება ქაფიანი ტალღები. რაიკომის თეთრი შენობა  
ზღვას გადასცქერის, თითქოს ყურს უგდებს დაულაღავ  
ზვირთცემას.

მუნის კარი მძიმედ გაიღო და კიბეზე გამოვიდა შუა-  
ტანის პირთეთრი კაცი. ქუდი ხელში ეჭირა. სუფთად  
გადაპარსულ თავზე სუსხიანმა ქარმა წყლის შხეფები  
შეაფრქვია, მაგრამ კაცმა ქუდი მაინც არ დაიხურა.

ლამაზად შეკერილი ბალტო ყველა ღილზე შეებნია,  
მხოლოდ თეთრი, ქათქათა პერანგის საყელო მოუჩანდა.

იგი ერთხანს შეფიქრიანებული დასცქეროდა ქუდს,  
თითქოს არ იცოდა, რაში გამოადგებო. მერე თავზე ხე-  
ლი გადაისვა და ქუდი დაიხურა.

რაიადმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილე-

ბის გამგემ შიმა ზვანბამ ამ დილას თავის კაბინეტში შე-  
სვლა ვერ მოასწრო — ტელეფონმა დარეკა — რაიკომის პირველი მდივანი ეძახოდა.

— კლდეეთში უნდა წახვიდე! დღეს იქ საერთო კრე-  
ბაა მოწვეული. მალე თესვას დაიწყებენ, — უთხრა  
მდივანმა.

ზვანბამ წარბები შეჰყარა:

— მე სხვა კოლმეურნეობაზე მიმამაგრეს, — უთხრა  
მან.

— ვიცი... მაგრამ შენ, მგონი, კლდეეთიდან ხარ.

— იქაური ვარ.

მდივანს უეცრად გაელიმა.

— მერე რას უყურებ, შე კაი კაცო! ადექი და მო-  
ინახულე შენი სოფელი, მოელაპარაკე მეზობლებს, ნაც-  
ნობებს. ისინი თავისიანს უფრო გადაუშლიან გულს,  
უფრო მეტს ეტყვიან, ვიდრე გარეშე კაცს. შენ ხომ იცი  
იქ ყველაფერი რიგზე არ არის.

ეს მოსაზრება იმდენად სამართლიანი იყო და თანაც  
მოულოდნელი, რომ შიმამ მდივანს სიტყვა ვერ შეუბ-  
რუნა. თუმცა კლდეეთში წასვლა ახლა რატომღაც არ  
უნდოდა. გული არ მიუწევდა.

შიმა ზვანბა დაბნეული და გულნატკენი გამოვიდა რა-  
იკომის შენობიდან. ერთხანს ზღვისპირას იდგა და თეთ-  
რი ყაბალახით თავწაკრულ ერცახუს გაჰყურებდა. მისი  
სოფელი იმ კლდეების ძირში იყო შებუღრული.

ხალხმა მრავალი საალერსო სახელი შეარქვა ერცა-  
ხუს. ამაყი ერცახუ, ჭილარა ერცახუ, ლამაზი ერცახუ...  
ის კი ცივია, უსიცოცხლო... ზამთარ-ზაფხულ ყინვას შე-

უკრავს და, რამდენად ცივია და მიუკარებელი, იმდენად მღელვარე და ალერსიანია მის წინ უსაზღვროდ გამ-  
ლილი ქაფქაფა ზღვა.

დადამდება თუ არა, მთიდან სუსხიანი ქარი დაუბე-  
რავს, მაგრამ ქალაქის ბაღში ნაზი მიმოზები უკვე  
გრძნობენ გაზაფხულის მოახლოებას. მათი ტოტები კი-  
დეც შებუმბლულა და გაზაფხულის პირველი მახარობე-  
ლი მიმოზის ფაქიზი სურნელება უკვე შეპარულა სუსხი-  
ან პაერში.

ხალხი ტყუილად როდი ამბობს, ვინც გაზაფხულს  
ელოდება, იმას მისი სურნელება შორიდან მიედინებაო;  
მაგრამ ყველაფერი ეს ახლა შიმას არ აინტერესებს. მას  
მხოლოდ ერთი რამ აწუხებს, თავის სოფელში უნდა წა-  
ვიდეს, თანაც ისეთ დროს, როდესაც თესვა იწყება.

შიმამ რაიკომის წინ ჩამწკრივებულ მანქანებს გადა-  
ხედა. აგერ კლდეეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის  
ცისფერი ავტომობილიც. შიმა ყოველთვის გაკვირვე-  
ბული იყო: გადაწყდებოდა თუ არა კლდეეთში ვინმეს  
გაგზავნა, ეს ცისფერი მანქანა დაბარებულავით გაჩნდე-  
ბოდა რაიკომის შენობის წინ.

— ნეტა საიდან გაიგებენ?! — ჯავრიანად გაიფიქრა  
შიმამ და მანქანას მიაშურა.

მანქანამ მოედანი გადაჭრა, მუხების ხეივანში ჩაიქ-  
როლა და საურმე გზაზე გავიდა.

თიხნარი ფერდობები ჩაისათვის უკვე მოეხნათ და  
დაეკვალათ.

შიმას თავი პალტოს საყელოში ჩაერგო და გაყუჩე-

ბულიყო. მანქანის პატარა სარკეში შოფერი ხედავდა მგზავრის უკმაყოფილო პირისახეს.

მანქანა უეცრად მოცურდა და ღობეს კინალამ შეეხეთქა. შიმა შეკრთა, თითქოს ბურანიდან გამოფხიზლდა. პალტოს საყელო გადაიკეცა და შოფერს უთხრა:

— მოდი, ერთმანეთი გავიცნოთ, მე შიმა ზვანბა ვარ.

შოფერმა მოიხედა. გოცებული შესცქეროდა შიმას თაფლისფერი, ბაღურის მიამიტობით საფე თვალები.

— მე კი რასიმას მეძახიან, — მიუგო შოფერმა.

ტუჩები ჩუმმა ღიმილმა შეურჩია. მერე საჭისაკენ მიბრუნდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

რასიმა... ამ სახელმა ბევრი რამ მოაგონა შიმას. თხუთმეტი წელიწადი არც ისე მცირე დროა. ამ ხნის განმავლობაში პატარა პერანგა ბიჭი ისე შეღერდებოდა, გუთანსაც მოეკიდებოდა. სწორედ თხუთმეტი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, რაც შიმა სოფლიდან დაბა-ქალაქში გადაიყვანეს. ახლა მასაც შეევერცხლა საფეთქლები.

შიმას არც დედა ახსოვს, არც მამა. მშობლების მაგივრობა პატარა ბიჭს პირქუშმა, დაუყოლიებელმა კაცმა, უფროსმა ძმამ და ერთმა კეთილმა მეზობელმა ქალმა თაკუნამ გაუწია...

სოფლის სკოლა რომ დაამთავრა, შიმა სამუშაოდ კოლექტივში დარჩა, პარტიაშიც იმ კოლექტივმა მიიღო. მერე პარტიუროს მდივნადაც აირჩიეს. შიმა ზვანბამ კარგი სახელი დაიგდო სოფელში, ამიტომ არავის გაკვირვებია, როდესაც იგი დაბა-ქალაქში გადაიყვანეს.

პირველ ხანებში შიმა ზვანბა რაიადმასკომის პატარა

ოთახში იჯდა. გაუჩვეველი, მელანში მოსვრილი თითებ-  
ბით კალმისტარი ეჭირა და მიწერ-მოწერას არჩევდა.  
ოთახში ჰაერი არ ყოფნიდა, აივანზე ხშირად გადიოდა  
და მთებს ნაღვლიანად გასცქეროდა.

შიმას რატომღაც ეგონა, რომ იგი სოფელში უფრო  
საჭირო იყო და გამოსადეგი, ვიდრე აქ, ამ დახუთულ  
ოთახში.

დაუცბრომელი ტალღები პირდაპირ შენობას ეხეთ-  
ქებოდნენ, შრიალით ავსებდნენ მის ოთახს. ეს ხმაური  
შიმას ამშვიდებდა, აგონებდა კლდეზე დაკიდებული ჩან-  
ჩქერების შორეულ გუგუნს.

შიმა მაინც კმაყოფილი იყო, რომ იგი დააფასეს და  
სამუშაოდ ქალაქში გადმოიყვანეს. სოფელში შიმამ თა-  
ვისი საქმე კარგად იცოდა. იგი თამამად შეეკამათებოდა  
ხოლმე არა მარტო ადგილობრივ ხელმძღვანელებს, არა-  
მედ ქალაქიდან ჩამოსულ ამხანაგებსაც. რა თქმა უნდა,  
შეეკამათებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დარწ-  
მუნებული იყო თავის სიმართლეში.

აქ კი, აღმასკომში, პირველად ცოტა გაუჭირდა შიმას.  
თანაც არ მოსწონდა, რომ ზოგიერთები მოწყალე თვა-  
ლით უყურებდნენ და აღერსიანად დატუქსავდნენ ხოლ-  
მე, როცა შიმა ზვანბას რამე შეეშლებოდა.

ამას მირჩევნია, ერთი მაგრად შემასურონო, ფიქ-  
რობდა იგი.

მაგრამ გავიდა დრო და შიმა ზვანბამ თანდათან შე-  
ისწავლა ადმინისტრაციული მუშაობის ხელოვნება. მას  
უკვე თავისუფლად შეეძლო საანგარიშო მოხსენების და-  
წერა, კოლმეურნეობის მუშაობის შემოწმება, კრების  
ჩატარება. შეეძლო მიეცა სწორი რჩევა-დარიგება და



თუ საჭიროდ მიიჩნევდა, ადგილზევე გადაწყვეტილებას  
დავო საკითხს.

დაკოჟრებული ხელები გაუთეთრდა და ფაფუკი გა-  
უნდა. მსუბუქი აფხაზური ხალათი კარგად მორგებულმა  
კოსტიუმმა შეცვალა. დაცოლშვილდა. ქონი მოერია.  
მაგრამ სადღაც გონების კუნჭულში სამუდამოდ ჩარჩა  
ერთი მოუსვენარი ფიქრი და შფოთვა, რომ მის კეთილ-  
დღეობას რაღაც აკლდა. მაგრამ რა?

იქნებ შიმას ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ აქ, ამ  
ოთხ კედელში მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვი-  
დრე იქ, სოფლის ფერდობებსა და ჭალებში. სოფელში  
იგი ერთი უბრალო აქტივისტი იყო, ახლა კი რაიადმას-  
კომის სასოფლო სამეურნეო განყოფილებას ხელმძღვა-  
ნელობს. ვანა ეს ცოტაა?

წარსულ წლებში შიმა ორჯერ თუ სამჯერ იყო  
კლდეეთში. ისიც ვაგლით. მაშინ მეზობლებმა უთხრეს,  
სოფელს ახალი ხიდი სჭირდებაო. მაგრამ შიმამ რა-  
ტომღაც ამ საქმეს ყურადღება არ მიაქცია. თუმცა მისი  
ფიქრები მაინც არ იფიწყებდნენ მშობლიურ ადგილებს.  
მეტადრე მაშინ, როდესაც რაიმე ანკეტას ავსებდა. კი-  
თხვაზე — დაბადების ადგილიო, შიმა კარგა ხანს ჩა-  
ფიქრდებოდა... თვალწინ დაუდგებოდა ხეობა, სადაც სა-  
ნადიროდ დადიოდა, მინდორი, სადაც ჯერ ჩალის ღერის  
ცხენს დააჭენებდა, მერე კი ოყიან თოხს უბათქუნებდა...  
თვალწინ დაუდგებოდა მეზობლები, ტოლ-ამხანაგები.

— რასიმა! — დაუძახა შოფერს და მხარზე ხელი და-  
ადო, — მეც ხომ აქაური ვარ! შენ ალბათ სოფლის ბო-  
ლოში ცხოვრობდი. გიყურებ და ვერ გამიხსენებია, შენი  
სახე თითქოს მეცნაურება.

— საკვირველი არაფერია, — ბავშვური მიამიტობით სავსე თვალეებმა შიმას ისევ გაუცინეს: — მე დაუთას ბიჭი ვარ, დაუთა აქაბასი.

შიმამ თვალეები დააჭყიტა: „რას ამბობ? ნუთუ შენ შართლა რასიმა ხარ? როგორ გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ. ახლა დაუთა რომ ცოცხალი იყოს... ღმერთმა აცხონოს საწყალი“.

— რა დაემართა იმ საცოდავს? — იკითხა მან.

— წყალში დაიხრჩო! — სულმოუთქმელად დაიწყო რასიმამ, — ერთ ღამეს პატარა გოგო ავად გაგვიხდა. საჩქაროდ ექიმი უნდა მოგვეყვანა. ექიმი კი მდინარის გაღმა ცხოვრობდა. გაზაფხული იყო. მთაში თოვლი დნებოდა. მდინარე მოდიდებულიყო, მაგრამ მამაჩემს ხომ იცნობდით. გამბედავი კაცი იყო და უკან არ დაიხია. ფონი ვიცო, ასეთ დროს გაღმა რამდენჯერმე გავსულვარო, თქვა და წავიდა. იქ კი, ვინ იცის, რა მოხდა... როდესაც წყალი დავარდა, შლამში ჩამარხულ წიფლის ტოტებზე მისი ყაბალახის ნაფლეთებილა ვიპოვეთ.

— საწყალი, კარგი ვაჟკაცი იყო! — მიუსამძიპრა შიმამ, მერე ფრთხილად ჰკითხა: — ხიდი კიდევ არ ავიშენებიათ?

— აქამდე დაპირებით მაინც გვპირდებოდნენ, ავიშენებთო... ახლა გახსენებაც ეზარებათ.

— სოფლის საბჭო რას ამბობს?

— რას იტყვის! კვერს უკრავს ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარეს. მიხას კი ხიდიც ფეხებზე ჰკიდია და ხიდზე მოსიარულეც! ჩემი უფროსია! — განუმარტა რასიმამ და ეს უკანასკნელი სიტყვები ისე გულჯავრიანად

წარმოთქვა, რომ შიმამ ახალგაზრდა ბიჭი ცნობისმყოფი ყვარეობით შეათვალეირა.

„მამას ჰგავს!“ — გაიფიქრა შიმამ და გაიხსენა, თვითონაც როგორი ფიცხი იყო ჯველობაში.

უეცრად რასიმას სიცილი წასკდა.

— იცით, სოფელში საბჭოს თავმჯდომარეს რას ეძახიან? მიხას ლანდს, და მართლაც, ორივეს ერთად რომ შეხედო, გაგეცინება. ეს ჩვენი მიხა რუმბივით გასიებული კაცია, ლოყებდაბრაწული. საბჭოს თავმჯდომარე კი ერთი დალეული ბიჭია, ხმაც ისეთი აქვს, გეგონება, სული აგერ-აგერ გასძვრებაო.

კლდეეთის კოლექტივი რაიონში მოწინავე მეურნეობად არ ითვლებოდა, მაგრამ თვითონ მიხა კი რატომღაც გამოცდილ თავმჯდომარედ მიაჩნდათ, რაიონში კარგი სახელი ჰქონდა.

— როგორც ჩანს, ხალხს არ უყვარს თქვენი თავმჯდომარე, — თქვა შიმამ.

— არ უყვარს, — მაშინვე დაუდასტურა რასიმამ. — მაგრამ მიხა რას დაეძებს ხალხის სიყვარულს!

— მერე თქვენ რა, პირზე ბოქლომი დაიდეთ?

— ჯერჯერობით არაფერი გამოვიდა. მიხას კარი ვერ შეუმტვრიეს. მის ასავალ-დასავალს კაცი ასე აღვილად ვერ გაიგებს. გეგმას ვასრულებთ, საყანე მიწებს ვაფართოვებთ... ხილი კი მაინც არა გვაქვს, არც კლუბი, არც საავადმყოფო. მაგრამ ყველაზე ცუდი, იცით, რა არის?! ჩვენმა თავმჯდომარემ ხალხს ისეთი შალაშინი გაუსვა, ახლა ისინი მიხას ყველაფერში ეთანხმებიან. ზოგმა კიდევ ხელი ჩაიქნია და განზე გადგა. შორიდან

რომ შეხედო, კოლექტივში თითქოს ყველაფერი რიგ-  
ზეა. მართალია, დიდი მიღწევები არა გვაქვს, მაგრამ  
არც დიდი შეცდომები გვაქვს! და მიხაც ფონს ადვილად  
გაღის. პირდაპირ საკვირველია, როგორ გახდა კოლექ-  
ტივის თავმჯდომარე?

— მე კი ის მიკვირს, აქამდე თავის მანქანაზე შენ  
რომ გამუშავებს! ასჯერ მიუტანდნენ ენას. შენი შო-  
ფერი შენზე ასე და ასე ლაპარაკობსო!

— პირში ვეუბნები ყველაფერს, ერთხელ კიდევ  
ვუჩივლე, მაგრამ კამეჩის მარქენალ ხარს რქები არ  
შერჩებო, — მეც ისე დამემართა! ისევ მე გამამტყუ-  
ნეს. ახლა შემთხვევას უცდის. ერთი პატარა ავარია  
რომ მომივიდეს, ზურგზე მომჯდება და არ გამახარებს.

— ცუდად ყოფილა თქვენი საქმე.

— ძალიან. ხალხს შენი იმედი აქვს.

— თუ რაიმე შევძელი!

— ჯერ კიდევ შარშან გვინდოდა შენი ნახვა. რაც  
არ უნდა იყოს, ჩვენი სოფლელი ხარ. ყველაფერს გაგვი-  
გებ. მაგრამ ბერიკაცებმა არ გამოგვიშვეს, შიმას ნუ  
შევაწუხებთო. ჯერ ჩვენ თვითონ გავწიოთ უღელი,  
და თუ არაფერი გამოვიდა, მაშინ ადექით და იმას სთხო-  
ვეთო. მთელი სოფელი მოუთმენლად გელის.

— რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, თავს არ  
დავზოგავ! — თქვა შიმამ და თითქოს თავის თავს არ-  
წმუნებდსო, მაშინვე გაიმეორა: — თავს არ დავზოგავ.

გზაზე წყლის გუბეები იდგა. მინდვრებში კაცი არ-  
სად ჭაჭანებდა. ქარი სწეწდა მეველეების შარშანდელ  
კარვებს, ანიავებდა აქა-იქ დარჩენილ ნაცარს. ტყვიის-

ფერი ღრუბლები გუნდ-გუნდად მოიჩქაროდნენ საკენ. შვის ერთი სხივი ხან გამოეპარებოდა ლებს, ხან ისევ მიიმალეობოდა და გზაზე უეცრად ჩამობნელდებოდა.

მანქანამ ორღობეში შეუხვია და ყავრის ფარდულებთან გაჩერდა, სადაც კოლექტივი მინერალურ სასუქს ინახავდა. შორიახლო აგურებზე შეყენებული ძველი საბარგო მანქანა მოჩანდა. იქვე ეყარა რაღაც რკინები და ავდრისაგან გაშავებული ყუთები.

ერთ-ერთ ფარდულთან მოხუცი კაცი იდგა. კალთებშეკეცილი ფარაჯა ეცვა, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა. მანქანის ხმა რომ გაიგონა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და გზას გახედა.

— დილა მშვიდობისა, ბაჟლა, — მიესალმა რასიმამ და მანქანიდან ვაღმოვიდა.

— იცოცხლე, შვილო.

— ჩვენი უფროსი არ გინახავს?

— არ მინახავს, — მიუგო ბაჟლამ და რასიმას თვალი ჩაუკრა, ეგ რა ფრინველი მოგიყვანიაო. ბიჭმა რაღაც წასჩურჩულა. ბაჟლას ღიმილი მოერია, მანქანასთან მივიდა და შიმას ხელი ჩამოართვა.

— მიხარია შენი ნახვა, დად! კეთილი იყოს შენი მობრძანება. მიხარია, როდესაც ჩვენი სოფლელი ბიჭი ქალაქში დიდი კაცი გახდება და ჩვენ მაინც არ დაგვივიწყებს. ნახე, როგორ ვცხოვრობთ. რა გვიჭირს და რა გვილხინს! ძალიან გაგვაწვალა ამ უხილობამ. სანამ წყალი არ დაიკლებს, ვაღმა ვერც სასუქი გაგვიტანია და ვერც მანქანის ნაწილები.

ცოტა ხანს ისაუბრეს, მერე შიმა და რასიმა მოხუცს გამოეთხოვნენ და მდინარის ნაპირს ფეხდაფეხ გაჰყვნენ.

— აი ჩვენი ხიდი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა! — თქვა რასიმამ და მდინარეზე გადებულ მორგებზე მიუთითა. წყალი მოდიდებული იყო, საცალფეხო ხიდზე ალაგ-ალაგ მღვრიე ტალღები გადადიოდნენ.

შიმამ ხმა არ გასცა. მან არემარეს თვალი მოავლო და მაშინვე მონახა ნაცნობი პატარა სახლი, ის ორი პატარა ფანჯარა, მათი დავიწყება რომ არ შეიძლება.

იმ სახლში თაკუნა ცხოვრობს.

... სად წავიდა შენი სილამაზე, თაკუნა? რამ ჩაგიქროთ ცეცხლი თვალეში? თავზე ვინ დაგაყარა ერცახუს მთიდან ჩამოტანილი თოვლი?

თაკუნა, დედასავით ტკბილო თაკუნა!

თაკუნას კერასთან შიმას ფეხი მოურთხამს და ნაღვლიანად უცქერის მოხუც ქალს.

სალამოს კლუბში რასიმამ ყველას გასაგონად სთხოვა შიმას, ამ დამეს ჩვენთან წამოდიო. დედაჩემმა შენი ჩამოსვლა რომ ვაიგო, ძლივს დავაწყნარე, კლუბში წამოსვლა უნდოდა.. დავპირდი, მე თვითონ მოვიყვან-მეთქი.

თავმჯდომარეს მაინცდამაინც არაფრად ეჭაშნიკა ეს დაბატოება. ვინ იცის, რას არ ეტყვის ის არჯალი დედაკაცი! მაგრამ ხალხში არ შეიმჩნია და სტუმარს უთხრა:

— წაჰყევი, შიმა, მოხუცი ქალის გაწბილება არ შეიძლება...

შიმა მთელი დღე კოლექტივის კარ-მიდამოს ათვა-

ლიერებდა და რაც უფრო მეტს ნახულობდა, მით უფრო აღარაფერს აღარ ეკითხებოდა მიხას, რომელმაც მათი მადგეობა და პატარა ხბოსაც კი არ გაუშვებდა, რომ სიტყვების კორიანტელი არ დაეყენებინა.

ჩაის პლანტაციებში გაცხოველებული მუშაობა იყო. შიმა ხედავდა, როგორ დაუზარებლად მუშაობდნენ ახალგაზრდები, მუდამ დაუღლელი სოფლის ქალები და მის გულში თანდათან იღვიძებდა მიწისადმი განუღებელი სიყვარული.

მიხა კი უდარღვლად იცინოდა და ხალხს ეუბნებოდა, ხედავთ, ვინ მოგიყვანეთო.

გლეხები შიმას გარს ეხვეოდნენ, მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ და გულითად სიტყვებს ეუბნებოდნენ.

სანამ კრება დაიწყებოდა, შიმასთან ბევრი დარბაისელი კაცი მივიდა, სტუმარს თავისი გულისნადები და წუხილი გაუზიარა, მაგრამ კრება რომ დაიწყო, ყველამ რატომღაც პირში წყალი ჩაიგუბა და საჭირბოროტო საკითხებზე სიტყვა არავის დაუძრავს.

ლაპარაკობდნენ ზოგადად, რაღაც წვრილმანებზე და უმნიშვნელო ამბებზე. შიმა მიხვდა, ნავსი პირველად მას უნდა გაეტეხა, მას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი მიხას მუშაობაზე, კოლექტივის დღევანდელ მდგომარეობაზე. მაგრამ შიმამ ყოყმანი დაიწყო. თავმჯდომარის გაკრიტიკება ადვილი იყო, მაგრამ შიმა შეშინდა, ვაითუ მომავალი მუშაობის გეგმები კარგად ვერ დავსახო და შევრცხვეო! თან იმასაც ფიქრობდა, ვაითუ ხალხმა მხარი არ დამიჭიროსო. ამას იმიტომ ფიქრობდა, რომ ხედავდა, როგორ დაბღვერილი უცქერდა კოლექ-

ტივის თავმჯდომარე ტრიბუნასთან დამდგარ სოფელ-  
ლებს, თითქოს ყველას აფრთხილებდა, ზედმეტი არა-  
ფერი წამოგცდეთ, თორემ რაიონიდან ჩამოსული კაცი  
ისევ უკან გაბრუნდება, მე კი აქ დავრჩებიო.

გამოვიდეს და ყველაფერი გულახდილად თქვას?  
მერე კი რა მოხდება! მისი ერთი გამოსვლა შესცვლის  
აქ რაიმეს? შიშას ვერ გადაეწყვიტა, არ იცოდა, როგორ  
მოქცეულიყო. იგი ხედავდა, რა დიდ საყვედურს ეუბ-  
ნებოდნენ მას რასიმას თვალები. მერე ბიჭი აღდა და კა-  
რი გულმოსულად გაიჯახუნა.

შუალამე გადასული იყო, შიშა თაკუნასთან რომ მი-  
ვიდა.

კერასთან ჩუმად სხედან. თაკუნას ხმა ვერ ამოუ-  
ღია. ეშინია, ფიქრმორეულ სტუმარს ხელი არ შეუშა-  
ლოს, მყუდროება არ დაურღვიოს.

დაღლილი, ნაღვლიანი თვალებით თაკუნა ცეცხლს  
მისჩერებია და ხმადაბლა ლაპარაკობს:

— ნანა, შენი ჭირიმე, ხომ არ დაგავიწყდა ჩემი კე-  
რიის ცეცხლი. გამჩენს ვთხოვ, ჩემი სახლის გზა არა-  
სოდეს არ შეგშლოდეს.

კერაზე მხიარულად ვიზგიზებს ხმელი წიფლის შე-  
შა. შიშა მისჩერებია ცერზე შემდგარ ალს და მისი ფიქ-  
რი თაკუნას წარსულს დასტრიალებს. იგი სულ ახალ-  
გაზრდა იყო, დაუთა აქაბას ცოლად რომ გაჰყვა, მაგ-  
რამ ყმაწვილმა ქალმა სოფელში ტოლი არავის დაუდო,  
კერაზე ნაკვერჩხალი გააღვივა და მალე დაუთას სახლის  
თავზე რგოლებად დახვეული მსუბუქი კვამლი გამოჩნ-  
და. იმ დღიდან მოკიდებული თაკუნას კერაზე ცეცხლი

არასოდეს აღარ ჩამქრალა. ბავშვები იზრდებოდნენ მშობლები სიბერეში შედიოდნენ, თაკუნას კერაში დღეცა და ღამეც ღულუნებდა მხიარული ცეცხლი. ბნელ ღამეში, ავდარში ხალხი ხელავდა ამ სინათლეს. ეს ცეცხლი თავისკენ ეძახდა დაგვიანებულ მგზავრს, გზადაბნეულ მონადირეს თუ მწყემსს და კარზე მომდგარ სტუმარს სითბოსა და მყუდროებას შეაგებებდა.

დაძინების წინ თაკუნა ნაკვერცხალს ღაღარში შეახვევდა, რომ კერაზე ცეცხლი არ ჩაქრობოდა.

შიმა ზვანბა ამ კერასთან გაიზარდა. მან პირველად თაკუნასაგან გაიგონა ალერსიანი სიტყვა „ნან“. როდესაც უფროსი ძმა სამუშაოდ ან სანადიროდ წავიდოდა, სიცივისაგან აკანკალებული შიმა სწორედ ამ კერასთან მიიბრუნდა, სადაც მისთვის ყოველთვის ეგდო პატარა ჯირკი.

შიმას ფიქრებს თითქოს თაკუნამ ვასცა პასუხი:

— მიხა აღარ იხედება ჩემი სახლისაკენ. სანამ ახალი თავმჯდომარე იყო, დაუთასთან ხშირად მოდიოდა რჩევა-დარიგების საკითხავად. ახლა კი გადიდკაცდა, ერთხელაც არ დაინტერესდა, როგორ ცხოვრობო. თუ კაციშვილს გულში ცეცხლი გაუნელდა, ის ხალხს ვერ შეიყვარებს.

შიმას გული ეტკინა, თითქოს ამ საყვედურს მარტო მიხას კი არა, მასაც ეუბნებოდა მოხუცი ქალი.

თაკუნამ კარი გამოაღო და ბნელს ყური მიუგდო.

— რატომ იგვიანებს ჩემი რასიმა? — შეშფოთებით ჩაილაპარაკა მან და ისევ ცეცხლთან დაბრუნდა.

შიმას მთლად მოეშალა გუნება. იგი მიხვდა, რასიმა



რატომ იკვიანებდა. „ჩემთან შეხვედრა არ უნდა, გულ-  
მოსულია!“

— ნან! ხალხი ამბობს, შიმა ჩვენი საქმეების მოსა-  
გვარებლად ჩამოვიდაო. მართალია?

შიმას ეძნელებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა,  
მაგრამ გაჩუმებაც არ შეეძლო, იცოდა, დედობილს  
ეწყინებოდა.

— მართალია, დედი. ვეცდები, რამე გავაკეთო.

— განა ჩვენ არ გვესმის, ნან, რომ შენ ბევრი საქმე  
გაქვს. მაგრამ რაკი ჩამოხველ, კიდევ უნდა დაგვეხმა-  
რო. შენ ყოველთვის მართალი და პირში მთქმელი ბი-  
ჭი იყავი.

შიმა უხერხულად შეიშმუშნა. ხალხს მისი იმედი  
აქვს, ხალხი მას ენდობა. ის კი რაიკომის მდივანს ძა-  
ლად რომ არ გამოეგზავნა, კლდეეთს არც გაიხსენებდა.

რა თქმა უნდა, რაიკომში შიმა ზვანბას მხარს დაუ-  
ჭერენ. სოფელს განა მართო ხიდი სჭირდება, აქ ახალი  
თავმჯდომარე უნდა მოვიდეს, შრომაც და ხალხიც რომ  
გყვარება.

ესოში ძაღლმა დაიყეფა. მერე ალერსიანი წკმუ-  
ტუნი მოისმა.

— რასიმა მოვიდა! — წამოვარდა თავუნა.

შიმას დიდ ოთახში გაუშალეს ლოგინი. გარეთ ყი-  
ნავდა. ქარი ზუზუნით აწვებოდა კარს, თითქოს სახლში  
შემოსვლა უნდოდა, ჭრიალეზდნენ ფანჯრის დარაბები.  
მაგრამ შიმას მაშინვე ჩაეძინა — დაღლილი იყო, ან იქ-  
ნებ ღვინო მოეკიდა! ვახშმად მთელი დოქი გამოსცა-  
ლეს.

სიცივემ გამოაღვიძა. კერაზე შეშა იფერფლებოდა. შიშამ საბანი მოიხვია და წამოდგა, დარაბა გამოიღო, პირისახეზე ფანჯრის მინებიდან წამოსული ცივი ჰაერი მოხვდა. კაკლის ტოტებში ნამგალა მთვარე გადახლართულიყო. შიშა საწოლთან დაბრუნდა.

„რა ვქნა? გავაღვიძო თუ უკითხავად წავიდე!“ — გაიფიქრა მან და ჩაცმა დაიწყო.

„რა თქმა უნდა, გაპარვა მირჩევნია, მათ თვალებს შაინც არ დავინახავ, იმედით რომ შემომცქერიან! არ გავიგონებ ჩემდამი ნდობით აღსავსე სიტყვებს!“

და უეცრად შიშა ზვანბას ისევ ის ნაღველი შემოაწვა გულზე. შევიძლია წახვიდე, დაივიწყო ხიდი, დაივიწყო მიხა, მაგრამ საკუთარ თავს სადღა გაექცევი? შენ თვითონ ხომ იცი, რომ შენი ადგილი აქ არის, აი ამ ხალხთან.

თენდებოდა, როდესაც შიშა საცალფეხო ხიდზე გავიდა და ერცახუდან წამოსულ ნისლში მიიმალა. სოფელი ისე გაიარა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

უკან ის იხედება, ვინც დაბრუნებას მალე არ აპირებს.

## მ რ ნ ი ქ ვ ე ი თ ა ლ

**ი**ქ, სადაც ორი დაუდგრომელი ჩანჩქერი ერთმანეთს ერთვის,

თეთრი ქაფის დუღილსა და ტალღების გრიალში იბადება მესამე, უფრო ძლიერი და ვიჟმაჟი მდინარე.

წყლისპირს საცალფეხო ბილიკი მისდევს. თუ არ დაიხარებ და ამ ვიწრო ბილიკს ბოლომდე გაჰყვები, ერთ პატარა სოფელში შეხვალ, სადაც ჩემი მოთხრობის გმირები ცხოვრობენ: ძველი ნამგალივით დაღეული პატარა ხუშპირი და ჟღალწვერა მთაკაცი — ხაჯილუათირი.

საოცარია, ისინი სულ ერთმანეთს დასცინიან, ეჩხუბებიან, მთელი კვირაობით უმძრახად დადიან, მაგრამ უერთმანეთოდ ცხოვრება მაინც არ შეუძლიათ. სწორედ იმ ჩანჩქერებსა ჰგვანან, რომელთა ვრგვინვა-ქუხილში ჩაიარა მათმა სიჭაბუკემ.

იმ საღამოს ჩემი ბერიკაცები წაბლის ტყით დაჩ-

რდილულ ბილიკზე შეხედნენ ერთმანეთს. ტყვიან ნაჯილუათირი გამოვიდა. რეზინის მალაყელიან ტალახში მოატყაპუნებდა. ხელში თავისი განუყრელი კომბალი ეჭირა. ხუმპირი რომ დაინახა, ხეს მოეფარა და ერთი კი გაიფიქრა, უკან დავბრუნდებით, მაგრამ ხუმპირს ვინ რას გამოაპარებდა. ის მდინარის პირას იდგა და ტალახიან კალოშებს ირეცხავდა. თითქოს ტანმა უგრძნო, რომ მისი ძმაცაცი აქ იყო და ისე სწრაფად მოიხედა, ხაჯილუათირმა დამალვა ვერ მოასწრო.

„სად ეშმაკებში მიაბოტებს? ვერ დაეტევა თავის ჭვარტლიან ქოხში?“ — ბრაზიანად გაიფიქრა ხუმპირმა და ისევ კალოშებს მიუბრუნდა.

— რა დაგიშავე ასეთი, ღმერთო, რომ სადაც წავალ, ყველგან ეს არდასაცალებელი უნდა შემახვედრო, — ჩაილაპარაკა ხაჯილუათირმა, ნაბდის ქუდი ოფლად გაღვარულ შუბლზე ჩამოისვა და რიჩიანად მიესალმა:

— სალამო მშვიდობისა, დად! ასე გვიან სახლიდან რამ გამოგიყვანა!

— იცოცხლე, ჩემო კარგო მეზობელო! მალაზიას მინდა მიეუსწრო. შენ რატომ შეწუხებულხარ, დად! — მიუგო ხუმპირმა.

— საბჭოდან შემომითვალეს, ამ სალამოს აუცილებლად ჩამოდო. რა ვქნა, არ შეიძლება, რომ არ წავიდე...

ხუმპირმა კალოშები გარეცხა, კალთები დაიბერტყა, პირისახეზე ცივი წყალი შეისხა და წელში გაიმართა. ერთიმეორეს ხელი ჩამოართვეს და ვზას გაუდგნენ. უხალისოდ მიაბიჯებდნენ დაბურულ ბილიკზე. უხალისოდ იმიტომ, რომ ორივენი ერთსა და იმავე საქმეზე მიდიოდ-

ნენ და ერთმანეთს კი უმაღლავდნენ. საბჭოცა და მალა-  
ზიაც ამიტომ მოიგონეს.

კარგად დაღამდა. ქარმა ღრუბელი თანდათან გადა-  
რეკა და ბერიკაცებს თავზე ისეთი ვარსკვლავებიანი ცა  
დაადგა, რომ ხუმპირმა ღიღინი წამოიწყო. თამბაქოს  
საშრობ ფარდულთან ვიღაცის ძროხა ბლოდა. ნაწვი-  
მარ ბილიკზე ალაგ-ალაგ ვუბე იდგა. ხაჯილუათირი  
პირდაპირ ამ ვუბეებში კამეჩივით მიაბოტებდა და  
წყალს ირგვლივ აშხეფებდა. ხუმპირი ერთი-ორჯერ  
განზე გაუხტა, მერე გულმოსულმა ხელი ჩაიქნია და  
თანამგზავრს გაუსწრო.

გულზე ცეცხლი შემოენტო ხაჯილუათირს, ხუმპი-  
რი რომ ასე უპატივცემულოდ მოექცა. ჯავრიანად ჩაახ-  
ველა და იმწამსვე მოიფიქრა, სამაგიერო როგორ გადა-  
ეხადა.

— ფეხით რატომ დადიხარ, დად ხუმპირ? შენი ხნის  
კაცს ამ ღორღებზე სიარული სად შეუძლია, — უთხრა  
მან და უღვაშებში ისე ჩაიცინა, დღე რომ ყოფილიყო,  
აღბათ ხუმპირს გული გაუსკდებოდა.

ხუმპირი წამიერად შეცბა, მაგრამ როგორც მოგეხ-  
სენებათ, ენადაგვალული არც ის გახლდათ და სიტყვა  
მაშინვე მოუჭრა.

— უნავირის კეხი გამიტყდა, დად! უბელო ცხენზე  
კი, ბაღლი ხომ არა ვარ, რომ წამოვსკუბდე. შენი კი  
ძალიან მიკვირს, ხაჯილუათირ, ამოდენა კაცი ძლივს  
მოჩანხალე ამ აღმართზე. შენისთანა ცხენ-უნავირი  
რომ მომცა...

ხუმპირმა აღარ დაამთავრა. არც იყო საჭირო, რად-

გან ხაჯილუათირი მაშინვე მიხვდა, სად უმინებდა ქრისტეს ფეხის მჭამელი სუმპირი.

— ჩემს ძარღვებში პატიოსანი გლეხის სისხლი დღეს, სუმპირ! მე არ შემიძლია ჩემი წინაპრების ზნე-ჩვეულებას გადავუდგე და... — ხაჯილუათირმა სიბნელეში კომბალი აღმართა და ვილაცას დაემუქრა: — თავი უნდა გაუხეთქო იმისთანა უნამუსო კაცს, მაგრამ გული რომ არ მიშეგებს!

სუმპირმა ერთი კი ახედა მალლა ამართულ კომბალს და ნაბიჯს მოუჩქარა.

— ასე რამ გადაგრია, შე კაი კაცო?

— ისე მეკითხები, ვითომ არ იცი, რომ აგერ მეოთხე თვეა ჩემს იორღას ქუჩირი დააქროლებს აღმა-დაღმა! შენ თუ ბულალტერი ხარ, კეთილი ინებე და საკუთარი ცხენი შეიძინე. სხვისას კი თავი გაანებე. ერთხელ დაგდე პატივი და იკმარე. ნამუსიც კარგი საქონელია.

— ბოდიში მაინც თუ მოიხადა?

— რას ამბობ! მასეთ კაცს ბოდიში დამცირებლად მი-აჩნია.

— ქუჩირმა მეც ძალიან მაწყენინა, ჩემო ხაჯილუათირ! რამდენი ხანია, ჩემი უნავირი წაიღო და ახლა ხმას არ იღებს, ვითომ არ ახსოვს. მე კი, ხომ იცი, სად ვცხოვრობ, სანამ იქიდან ჩამოვალწევ და ქუჩირს ვეახლები, რომ ჩემი თავი გავახსენო, მანამდე კიდევ დაღამდება. მერე ბნელში ამ კლდეებზე ფეხით უნდა ვილოლიალო.

— იმას არ გაუთენდა ხვალინდელი დღე. ცხენი ჩემი წაიყვანა, შენ უნავირი გამოგართვა, მათრახი ალბათ სხვაგან ინათხოვრა. რაღა უჭირს, იცის ვაჟბატონმა,



რომ ჩვენში სირცხვილად ითვლება — მეზობელს წარამარა შეახსენო, ნათხოვარი ნივთი უკან დამიბრუნეო, ვალი გადამიხადეო. იცის და ამით სარგებლობს.

— მაგის წამალი მე ვიცი. ერთხელ ისეთი შიში ვაკამე, მუხლებზე დაჩოქილი მევედრებოდა, მაპატიეო. ერთ საღამოს ჩემთან მოვიდა და მითხრა: შენი ჭირიმე, ხუმბირ, მიშველე, შრომადღებზე ფული რომ გეკუთვნის, ცოტა ხნით მასესხე, მევალე კარზე მომადგა და დანა ყელზე მომამჯინაო. რახან ეგრეა, კი, ბატონო-მეთქი, ვუთხარი. უწყისზე ხელი ისე მოვუწერე, ჩემი ფული თვალითაც არ დამინახავს. იმ უსინდისომ მერესხვებიც ასე მოატყუა, თურმე ფულს აგროვებდა ავტომანქანის შესაძენად. მაგრამ ვაუგეს და შავი დღე დააყენეს. ხალხის ფული უკანვე მოატანინეს. მეც ავდექი და ვუთხარი: ჩემო ქუჩირ, მე ყველაფერი ვიცი, ჩემი მოტყუება ძნელია-მეთქი. თანაც ლაპარაკში ერთი-ორჯერ ჩემი ძმისწული ვახსენე, ქალაქში რომ მსახურობს. მისი სახელის გავონებაზე ქუჩირს ფერი ეცვალა, მამის ტოლა კაცი ხარ, მაპატიე, სისულელით მომივიდაო. მეც, რა უნდა მექნა, ავდექი და ვაპატიე. ამ ბრიყვის გამო მის პატიოსან მამას, ბიძებს, ნათესავებს აბა როგორ ვაწყენინებდი. კრინტი არ დამიძრავს, ჯანდაბას მაგის თავიც და ჩემი ფულიც-მეთქი, — გავიფიქრე და კანტორიდან გამოვედი, მაგრამ შენ ახლა მიყურე, თუ ჩვენი ბუღალტერი ცხარე ცრემლით არ ვატირო ჩემი უნავირის გამო. შენ ხომ იცი, მე ხუმრობა არ მიყვარს!

— ერთი ფეთება მეც ვუჩვენე ჩემი ცხენის მომტაცებელს! — ახლა ხაჯილუათირმა დაიწყო ტრაბახი, რომ

მეზობლის თვალში ლაჩარი არ გამოსულიყო, — აი, იმ  
კვირას ქუჩირი გზაზე შემხვდა. დავინახე თუ არა, მემუ-  
ჩერდი და ყალიონი ამოვიღე, ვტენი ამ ყალიონს ღმრთობის  
არ ვიღებ. ვტენი და ხმას არ ვიღებ. ქუჩირი დამდუღ-  
რულივით ცხენიდან ჩამოხტა და ცეცხლი მომაწოდა.  
ისიც ხმას არ იღებს, მხოლოდ ქშინავს დასიცხული კამე-  
ჩივით... მე ჩემი ყალიონი გემრიელად გავაბოლუე და  
გზას გავუდექი. მაშ რა მექნა? თვითონ არაფერი შითხ-  
რა და... მე ხომ ჩხუბს არ დავუწყებდი. მაგრამ დღეს კი,  
ჩემო ხუმპირ, უკან აღარ დავიხევ. თუ კიდევ სიტყვის  
ტკეპნა დამიწყო, ამ კომბალს ხედავ? ერთს ისეთს მივა-  
ყოლებ ზურგში, შენი მოწონებული... მერე წავიდეს და  
სადაც უნდა მიჩივლოს.

ასე ტრაბახობდა ეს ორი მოხუცი და თანდათან აჯე-  
რებდნენ ერთმანეთს, რომ ბულალტერ ქუჩირს სამაგიე-  
როს გადაუხდიდნენ.

სოფელი დაქანებულ ფერდობზე იყო შეფენილი.  
ყველაზე მაღალ ადგილზე კოლექტივის კანტორა იდგა.  
ამ სიმაღლეზე ამოსვლა ბერიკაცებს ძალიან გაუჭირ-  
დათ, მაგრამ შურისძიების წყურვილმა მათ მუხლებს  
სიფიცხე შემატა, და მათაც მთელი აღმართი სულ-  
ცუხცუხით აიარეს.

მუხის ბოძებზე შემდგარი გამგეობის სახლი ბნელში  
უფრო მაღალი ჩანდა. ახლა აქედან სიცილი და ტაშ-  
ფანდურის ხმა მოისმოდა. ეტყობოდა, ყანიდან დაბრუ-



ნებული ახალგაზრდები ძილს ჯერ კიდევ არ აპირებდნენ. ეზოში ორი ფარანი ბუტავდა. იქვე ხეივანში ვაჭრო ფარდული იდგა. ნახევრად გაღებულ კარიდან მკრთალი სინათლე გამოდიოდა.

უსაშველო აღმართმა მოხუცებს ილაჯი გაუწყვიტა, ამიტომ სანამ გამგეობაში შევიდოდნენ, ცოტა ხანს ფარდულის წინ გამართულ სკამფიცარზე ჩამოსხდნენ, რომ უეცრად ნაცნობი ხრინწიანი ხმა გაიგონეს. ხუმპირმა ფარდულში შეიხედა, მერე ჩუმად ჩაიცინა და ხაჯი-ღუათირს ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

დახლთან ბულალტერი ქუჩირი იდგა. ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და სადღეგრძელოს ეუბნებოდა თავის განუყრელ ძმაკაცს — ღუჯილს.

თაროზე შემოდგმული ლამპა ძლივს ანათებდა დახლზე დაწყობილ ბოთლებს და რალაც დასაყოლებელს. ფარდულის გამგეს ხელები გულზე დარდიანად დაეკრიფა და კედელს მიყრდნობოდა.

ქუჩირმა მოხუცები დალანდა თუ არა, ჭიქა დახლზე დადგა და გაჩუმდა. ფარდულის გამგე კი აბუზღუნდა.

— გეყოფათ, დაამთავრეთ! გვიანია! ნეტავ სად ვადაიკარგა ეს ბოქლომი? — იგი ხვნეშითა და ბურღულუნით აფათურებდა იატაკზე ხელებს. გაისმა ცარიელი ბოთლების წკრიალი, ფარდულის გამგე ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

ქუჩირი არ მოელოდა ორივე მოხუცის ერთად დანახვას, ამიტომ დაბნეულად მისჩერებოდა მათ. გრძნობდა, რომ უსიამოვნო ლაპარაკს ვერ გადაურჩებოდა. მაგრამ მოხერხებულმა მეგობარმა ღუჯილმა იხსნა ამ განაჭირისაგან.



— გახსოვს, ქუჩირ, წელან რომ გითხარი, მარჯვენა მითამაშებს-მეთქი? ხედავ, რა მალე ამისრულდა? — მერე ხუმპირს მიუბრუნდა და ხმა უფრო დაუტკბა, — როგორ გამიხარდა შენი დანახვა! ქუჩირს კი მარჯვენა ყური უხურდა, მაშინვე ვუთხარი, ჩემო ძმაო, შენ დღეს ისეთ კაცს შეხვდები, ვისაც ძალიან უყვარხარ და შენთვის კარგი სიტყვა არასდროს არ დაენანებამეთქი.

ეს რომ თქვა, ღუჯილმა ჭიქა შეავსო და ხაჯილუათირს გაუწოდა.

— ის კაცი ალბათ თქვენ ბრძანდებით, ჩემო ბატონო!

მოხუცები თავჩაქინდრულნი უსმენდნენ ღუჯილის პირფერულ სადღეგრძელოს. ხელში სავსე ჭიქები ეჭირათ, დაბნეულობისაგან ის ჭიქები ვერც დაეცალათ და ვერც დახლზე დადგმა მოეხერხებინათ.

ღუჯილმა შეატყო, რომ ახლა ცეცხლის შენთება იყო საჭირო. ჭიქა მალლა ასწია და რიხიანად შესძახა:

— დავლით, ქუჩირ, ჩვენი სახელოვანი ხუმპირისა და ხაჯილუათირის სადღეგრძელო.

ამ შეძახილმა ბულალტერი გონს მოიყვანა, ჭიქას ხელი დაავლო, ღუჯილის სავსე ჭიქას მიუჯახუნა და თქვა:

— ვკოცნი იმ ბაგეს, რომელსაც ეს ოქროს სიტყვები მოსწყდა. თქვენზე უფრო პატივსაცემი სტუმრები მე ჯერ არ მყოლია და ალბათ არასოდეს არ მეყოლება. თქვენი ჭირი წაგველოს მე და ღუჯილს!

ღვინო გადაჰკრა, ტუჩ-პირი შეიწმინდა და ღუჯილს

ჩუმად გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, მეტი კიდევ რა ვქნაო.

ლუჯილმა ჩაახველა და დაიწყო:

— ბოდიშს ვინდი, რომ უნდა ვავკადნიერდე და ჩემი სურვილები გამოვთქვა. კურთხეული იყოს მარად თქვენი სახელი, ერთი ღრუბელი არ მენახოს თქვენი ცხოვრების გზაზე. დღემდე ისე ვიცხოვრიათ ამ ქვეყანაზე, რომ ხალხის წინაშე თავი არ შევირცხვენიათ. თქვენი კარგი სახელი ჩვენი სოფლის კარგი სახელია. ჩვენში კაცს რომ გაუჭირდება, რჩევა-დარიგების საკითხავად თქვენთან მოდის. ხალხისათვის არაფერი არ გეშურებათ, არც კეთილი სიტყვა და არც...

ლუჯილმა ისევ ჩაახველა და გულაჩუყებულმა განაგრძო:

— თქვენ განსაკუთრებით ჩვენისთანა გამოუცდელ ახალგაზრდებზე ზრუნავთ. დღე და ღამე იმაზე ფიქრობთ, რომ ჩვენ თავი არ შევირცხვინოთ. უნდა გამოვტყდე, არა ვართ ღირსი ამდენი ამაგისა. მაგრამ მუდამ გვახსოვს თქვენი ბრძნული რჩევა-დარიგება და ახლა ფიცსა ვდებთ, ამ ღვინის მადლი გავვიწყრეს... არა, ქუჩირ?

ლუჯილს გული ამოუჯდა, სიტყვა ყელში გაეჩხირა და ალბათ ჭიქა სწრაფად იმიტომ გამოსცალა, რომ იმ სიტყვისათვის გზა გაენთავისუფლებინა. მაგრამ ქუჩირი უკვე მიხვდა, რას მოითხოვდა მისგან მისი განუყრელი მეინახე და წააგდო ენა. ქუჩირმა თქვა: თუ მთელი სოფლის მცხოვრებლები მხოლოდ მთის ძირში იმყოფებიან, ხუმბირი და ხაჯილუათირი ერცახუს მწვერვალზე

ბრძანდებიანო. ისინი ხელუხლებლად ინახვენ ადათ-ჩვეულებებს და ქვეყანა რომ დაიქცეს, ჩვეულებებს არასდროს არ უღალატებენო.

— ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებულნი ვიყოთ, — ჩაუბნო სიტყვა ღუჯილმა და უღვაშებში ჩუმად ჩაიცინა, — მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ გამოლუფლა ისეთი ადამიანები, მამა-პაპათა წმინდა წესებს თვალის-ჩინივით რომ უფრთხილდებიან.

ბერიკაცები გაოგნებულნი უსმენდნენ ენაწყლიან მასპინძლებს.

ფარდულის გამგე დროდადრო გვერდზე გადაიწევს, დახლის ქვეშ ბნელში ხელებს აფათურებს და ჩუმად ბუტბუტებს: „რა იქნა? სად წავიდა ის ტიალი!“ ამ ფათურსა და ფაციფუცში იგი ცარიელ ბოთლებს წამოედო, ბოთლები იატაკზე გაგორდნენ. მერე ისევ სკამზე გასწორდა და ბალნიანი მკლავები გულზე დაიკრიფა.

— გმადლობ, დად! ყველა საქმეში გამარჯვებული მენახო, შვილო! — თქვა ხაჯილუათირმა. მისი ტუჩები ღიმილს ვაებო და თამბაქოსაგან გაყვითლებული სწორი კბილები გამოეჩინა: — ჩვენ, ბერიკაცები აწი რისი მაქნისი ვართ... ცალი ფეხი უკვე სამიზრეში გვიდგას, მაგრამ ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს — ახალგაზრდების. ჩვენ მეტი არაფერი გვინდა, მხოლოდ იმდენი შეგვძლებოდეს, რომ ცოტა ხანს კიდევ გემსახუროთ, უზანგი მაინც დაგიჭიროთ ხანდახან. — ხაჯილუათირმა ჭიქა გამოსცალა. გულაჩუყებულმა ხუმპირმაც გაიღიმა და მეგობრის მაგალითს მიჰბაძა.

რამდენიმე ჭიქა რომ გადაჰკრეს, ბერიკაცები გამხიარულდნენ. მათი დარდი და ნალველი სადღაც გაქრა.

მთვრალი ბუღალტერი პირში ენას ძლივს აბრუნებდა, მაგრამ ხაჯილუათირს მაინც აქებდა: ამისთანა გლეხი სოფელში მეორე არ არისო. ამ ბერიკაცის სუფრაზე განა ყველს დაჭრიან და ისე მოიტანენ: როგორ გეკადრებათ! წველა-წველა დაახვავებენ, მიირთვი, რამდენიც გინდაო. ახლა საფუტკრეს არ იკითხავ? ცხენით ვერ შემოუვლი, იმოდენაა. ცხენიც ისეთი გაზარდა, ავთვალს არ ენახვება. შეჯდომას ვერ მოასწრებ — უკვე მიფრინავს და თვალის დახამჩამებაში ზღვის პირზე გაგიყვანსო. მერე რა გულკეთილი კაცია ეს ხაჯილუათირი. მხედავს, მის ცხენზე ვზივარ, მაგრამ გეტყვის საყვედურს? შენც არ მომიკვდე. პირიქით, გამიცინებს და მეტყვის: „წადი შენს გზაზე არხეინად, მე შეგობარს ცხენზე არ გავცვლიო“.

— რას ამბობ ქუჩირ! ცხენიდან როგორ ჩამოგადებ, კაცო! — შესძახა გულმომბალმა ცხენის პატრონმა, — მადლობა ღმერთს, ჯერ სინდისი არ დამიკარგავს, შენ ჩვენი გულისათვის შრომობ, ციფრებმა თვალები ამოგიღამა, ცხენს როგორ დავიშურებ შენთვის.

ქუჩირი კი ახლა ხუმპირის ქებას მოჰყვა:

— იცი, ღუჯილ, ხუმპირისთანა უნაგირი ძველად თავადიშვილებსაც არ ჰქონდათ! ნამდვილი აფხაზურია, ვერცხლით მოკაზმული, და ასეთ უნაგირზე მე ვზივარ, მე... ასეთი პატივი მცა ხუმპირმა. არაფერი არ ენანება ჩემთვის.

— ქუჩირ, — აფუსფუსდა მოთაფლული მოხუცი, — თუ ჩემი ხათრი გაქვს, ეს მეორედ აღარ მითხრა... უნაგირი რა არის, შე კაცო, მაგაზე გაწყენინებ?

— ასეთი ხელგაშლილი კაცი ჯერ არ მინახავს ამ

ქვეყანაზე, — ხმა შეიმაღლა გახარებულმა ბუღალტერმა, — შენ ერთი ყურში ჩააწვეთე, უნაგირი მჭირდება, და ნატვრაც მაშინვე აგისრულდება.

— არ ღირს ამაზე ლაპარაკი, ნუ მაწყენინებ, ქუჩირ! — შეევედრა ხუმპირი.

ისინი ერთხანს კიდევ საუბრობდნენ, ხალისიანად იცინოდნენ, ეხვეოდნენ და აქებდნენ ერთმანეთს. ამ ლაპარაკსა და ღვინის სმაში ხაჯილუათირს ერთბაშად მოეჩვენა, ქუჩირი და ღუჯილი ერთმანეთს ტყუპებივით ჰგვანანო. ორივეს თხელი და სწორი ცხვირი ჰქონდა სუფთად გაპარსულ პირისახეზე. ორივენი ერთი სიმაღლის, ტანშედგმული ვაჟკაცები იყვნენ და პრიალა, ერთნაირი ჩექმები ეცვათ.

მერე ყველანი კარისაკენ მიტრიალდნენ. ფარდულის გამგე მაშინვე წამოხტა, ბოქლომიც იმწამსვე იპოვა, ეზოში გასულ შეხმატკბილებულ ამფსონებს კარი სწრაფად მიუჯახუნა და ჯერ ურდული გაუყარა, მერე ბოქლომიც ჩამოჰკიდა.

ქუჩირმა და ღუჯილმა სიბნელიდან ცხენები გამოიყვანეს და ისე სწრაფად მოახტნენ ზურგზე, ბერიკაცებმა უზანგზე ხელის მოვლებაც ვერ მოასწრეს.

ქუჩირი ათამაშებდა ხაჯილუათირის თეთრონს. იმ თეთრონის ზურგზე ხუმპირის მოვერცხლილ უნაგირი ბრწყინავდა.

— ნახვამდის, ბედნიერად გაგიტენდეთ ხვალინდელი დილა! — შესძახა ქუჩირმა და ცხენი ადვილიდან მოსხლიტა.

ღუჯილმაც მოხუცებს თავი დაუკრა და მეგობარს დაეღვენა.



წუთიც და... ფიცხი ცხენების თქარათქური სიბნელე-ში მიწყდა.

ჩვენი ბერიკაცები კი გამგეობის დაცარიელებულ ეზოში კარგა ხანს იდგნენ და ერთმანეთს ჩუმად შეპყურებდნენ. ისინი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, როგორ ურცხვად ისარგებლეს მათი ალალი და დანდობილი გულით ქუჩირმა და ლუჯილმა.

ხუმპირს უნდოდა ეთქვა, ყველაფერი ჩვენი ბრალი-აო, მაგრამ შეეშინდა, ხაჯილუათირი დამცინებსო და გაჩუმება ამჯობინა. ხაჯილუათირმა კი ნაღვლიანად გაიფიქრა: „რალა ჩემი თეთრონი და რალა ეს ყინულოვანი ერცახუ! ჩემთვის ორივე უსარგებლოა“.

ბერიკაცებმა ჩუმად ამოიოხრეს და ასევე ჩუმად შინისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვნენ.

## თ ა ქ ა რ ა ს თ ვ ა ლ ე ბ ი

ცხელი ზაფხულია. დედამიწა პირდაპირ იბრუდება უსაშველო პანებაში. გათენდება თუ არა, ცხელი მზის სხივები ჯერ მთის მწვერვალებს წაეკიდება, მერე დაბლა ჩამოჰყვება და ჭალაში ისეთ ბუღს დააყენებს, კაცს სული ვერ მოუთქვამს.

სალამოს კი, როცა დაღლილი ოჯახები ვახშმად სხდებიან, მოწმენდილ ცაზე ამოდის დიდი წითელი მთვარე, და ასე მგონია, ისიც მზესავით ცხელია და ულმობელი.

ორჯერ გამოიცვალა მთვარე, მაგრამ ციდან ერთი წვეთი ნამიც არ ჩამოვარდნილა. გადაყვითლდა ფერდობებზე გაფენილი მწვანე ხალიჩები. გვალვამ მოსწვა და მოჟუჟა თავნაყარი სიმინდი.

სიცხემ ტვინი ამიღულა, მაგრამ მე მაინც არ ვეძებ ჩრდილს. მიყვები ბილიკს, ხანდახან კიდეც მივრბივარ. მთლად შემოვიარე ჩვენი კოლმეურნეობის ყანები, ბაღ-ჩა-ბოსტნები. სოფლის თავზე რომ ბორცვებია, იქაც ვიყავი, ხეშიც ჩავიხედე, სად არ ვეძებ ის სამგლეები, მაგრამ ვერსად მივაკვლიე. გახურებული მიწა ფეხის გულებს მწვავს. ასე მგონია, ეკლები მჩხვლეტენო. ხანდახან ვზიდან ვაღაფუნვევ და ფეხის გულებს ჩრდილში მიმალულ ბალახზე ვავიგრილებ. მხოლოდ ეს არის, აქ დიდხანს ვერ გავჩერდები. უნდა ვეძებო, თორემ მერე გვიანდა იქნება. კვალიც რომ არა რჩება ამ გაქვავებულ მიწაზე?

სად არიან ისინი?

ისინი ჩემი თხებია, ჩემი მოსამწყემსი მრევლი, ჩემი აღქაჯები. ამ წუთში რომ აგერ არიან, მეორე წუთში კაცმა არ იცის, სად გაქრებიან.

დავიღალე, მუხლი მეკეცება, სიცხისაგან ამომწვარ თვალებს ცრემლი მისველებს.

„ერთი თქვენი ტყავი გამახმობია მზეზე და მეტი არაფერი მინდა!“ — უნდა დავწყევლო ჩემი მტანჯველები, მაგრამ როგორ დავწყევლო, როცა დედის ძუძუს მერე ამათი რძე გვზრდიდა და სულს გვიღვამდა.

სად ჯანდაბაში წავიდე? არვეში მართო ჩვენი თხები ზომ არაა! შუადღისას სოფელში უნდა ჩავრეკო, რომ პატრონებმა გამოწველონ და შეჭამანდი გააკეთონ.

ფერღობიდან დაბლა დავეშვი და ხევ-ხევ გავყვივი. ერთ ადგილას ვეება წაბლის ხეები დგანან. იმ ხეებს მა-

ლარი ვაზი შემოხვევია და ისე დაუბურავს იქაურობა, მზის სხივი დაბლა ვერ ჩამოდის. აქ ცოტა სულს მთავრად ვითქვი, მერე ბინდიდან ხევში ჩავიხედე, ვერც რა დავინახე, ვერც რა გავიგონე. მხოლოდ ხევის ძირიდან მდინარის სასიამოვნო სივრცეზე მომეტანა.

უკვე აღარ ვიცი, სად ვეძებო. თმის ბეწვები ხომ არ არიან, რომ ასე უკვალოდ გაქრნენ?

უეცრად შორიდან ძაღლის ყეფა მომესმა. იბოვე, ჩემო თაქარ, ჩემო საყვარელო ძაღლო? ორი ძაღლის სიცოცხლე მიეცეს დედაშენს, ასეთი ჭკვიანი რომ გაგაჩინა.

ვინა თქვა, დავიღალეო? ვინ თქვა, წელან ნური ტიროდაო? ცრემლიც შემაშრა, დაღლილობაც სადღაც გაქრა. იმწუთშივე თხმელაზე ავძვერი და იმ მხარეს გავხედე, საიდანაც ყეფა მოისმოდა. ავერ ჩემი ლამაზი თაქარა არვეს ხან აქედან შემოუბრუნეს, ხან იქიდან, რომ თხები ერთად შეაქუჩოს და ჩემკენ გამორეკოს.

იმ წელიწადს მესამე კლასი დავამთავრე და სექტემბერს აღარ მოეუცაღე, — ყველა ახალ რვეულს დიდი მონდომებით წავაწერე. „მე-4 კლასის მოსწავლე...“

საზაფხულოდ რომ დავგითხოვდნენ, დედაჩემი თხის არვეს ჩამაბარებდა. ჩვენ მხოლოდ ექვსი სული თხა გვყავდა, დანარჩენი მეზობლებისა იყო. პირველ ხანებში ძალიან ვამიჭირდა. თხები არ მიჯერებდნენ. ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე დადიოდა, ზოგი ფერღობზე ავარდებოდა, ზოგი კი ააღერდა თავს და ბალბოსტანს მიაშურებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ენა ყველას ვავაგებინე, სკვადასხვა ოჯახებში გაზრდილი

თხები ერთმანეთს შევაჩვიე და ერთად სიარული ვასწავლე.

ხანდახან რომელიმე მეზობელი გასამრჯელოდ ციკანს მაჩუქებდა. ციკანს დედაჩემი გაყიდდა და იმ ფულით ხალათ-შარვალსა და სასწავლო წიგნებს მომიტანდა.

მამა ომში დამედღუბა. მე ის არ მახსოვდა, მხოლოდ ვამეგონა, მამაშენი სივარნა ყველაზე მაღალი კაცი იყო სოფელში. ამიტომ ზოგიერთი ენაჭარტალა დედაკაცი დამინახავდა თუ არა, ფარისევლური წუწუნით იტყოდა, ნეტა ვის დაემსგავსა ეს ბიჭი ასეთი თითისხელა?! ერთხელ რომ დააჩნდა მიწას, მერე აღარ გაიზარდაო.

ეს სიტყვები გულს მიკლავდა და მე ის ქალები დღესაც ჭირივით მეზარება.

ომი რომ დაიწყო, ჩემი მშობლები ახალი დაქორწინებულნი იყვნენ. ოჯახის გამართვა ვერ მოასწრეს. ახლა დედაჩემი ბევრს მუშაობდა, კოლექტივიც გვეხმარებოდა, ცხოვრება მაინც გვიჭირდა. ამ თხებით ვითქვამდით სულს.

არეეს მარტოდმარტო მე დავდევედი. სოფლის ახლო-მახლო არ იყო არც ერთი ჭალა და მდინარე, წყარო და ხევი, მათი ასავალ-დასავალი რომ არა მცოდნოდა. ჩემზე კარგად ვინ იპოვიდა ტყეში ღალიან ახოს, მდინარეზე — მარჯვე ფონს, ჭალაში — ლორთქო ბალახს. ამიტომ ჩემი თხები არ შემდუროდნენ და კაცმა მართალი რომ თქვას, ამ ბოლო დროს მეც არაფერი მქონდა მათთან სამდურავი.

ტყის პირას ერთი ბებერი წაბლის ხე იდგა, ფესვები

მალლა ამოეყარა და აქეთ-იქით გაეჩაჩხა. სწორედ იქ ვიპოვე მელიის სორო. მართალია, მელია თვალსაშინაობის და მამინახავს, მაგრამ იმ სოროსთან მუდამ ეყარა ჩიტისა და ქათმის ბუმბული.

ხევში კი დიდ მუხაზე ბუდე ჰქონდა ძერას. შარშან მან ორი ბარტყი გამოჩეკა. ახლაც რამდენჯერ დამინახავს, როგორ ჩაფრინდებოდა ბუდეში და ბარტყებს საჭმელს მოუტანდა.

შემოდგომაზე, როდესაც ტყე გაშიშვლდებოდა, დაცარიელებული ბუდე თანდათან გაშავდებოდა, მაშინ ის ბუდე ხეზე შეგდებულ ნაბდის ქუდსა ჰგავდა.

შუაგულ ტყეში, სადაც მთებიდან დაგორებულ ლოდებს ვეება ხეები მიელეწ-მოელეწა, მგლის ბუნავი იყო. ერთხელ მთელი ხროვა დაესხა სოფელს, ბაკში შეცვივდნენ და სანამ ხალხი ფეხზე დადგებოდა, მხეცებმა თავისი გააკეთეს — ერთი ხარი და შვიდი თხა დაგვიხოცეს. ერთხელ კვიციც მოიტაცეს და დედა ცხენის ჭიხვინმა მთელი ღამე არ დაგვაძინა.

იმ ბუნავს ახლო რომ ჩავუვლიდი, ტანში რაღაცა ჩხვლეტას დამიწყებდა, თითქოს შიშველ ტანზე ზღარბმა გადაშირბინაო, თმაც ყალყზე დამიდგებოდა. შიშისაგან გული რომ არ გამხეთქოდა, მთელი ხმით გავეიოდი რაიმე სიმღერას.

„ერთი ახლა თოფი მომცა“, — ვფიქრობდი ასეთ წუთებში, და განა მარტო ასეთ წუთებში ვნატრობდი, ჩეტავი თოფი მომცა-მეთქი.



ჩვენი მეზობელი ქალის, შაქის ქმარი, ხანდახან თავის თოფს მომცემდა და ისროლეო, მეტყოდა. მეც ვისროდი და იმ დღეს ჩემზე ბედნიერი ბიჭი სოფელში მეორე არ იყო.

მე ძალიან მიკვირდა: როდესაც ჩვენი მეზობლის ოჯახზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ხალხს მუდამ შაქის სახელი ეკერა ენაზე, მისი ქმარი კი არავის ახსოვდა. ამბობდნენ, იგი ცოლის მონა არისო და კაცად არ აღდებდნენ. მე კი ის მაინც მიყვარდა.

შაქის ქმარი მართლაც ჩუმი, უნო კაცი იყო. რამდენჯერ მინახავს ტყისპირას ქვაზე ჩამომჯდარი და ჩაფიქრებული. თოფი რატომ დაჰქონდა, დღესაც არ ვიცი. მისი ნანადირევი არავის უნახავს. შაქიმ კი ერთხელ იცით, რა ქნა? დაუძახა ქმარს და უთხრა: შენ ამ ბოლო დროს ნადირობას ძალიან ვადაჰყევით, ოჯახი კი მიუხედავი არისო, თოფი ჩამოართვა და ხელში თოხი მიაჩეჩა, წადი და ბოსტანი გათოხნეო.

იმ დღიდან მოკიდებული შაქის ქმარი დილიდან საღამომდე ბოსტანში ტრიალებდა.

თოფი ჩემი აუხდენელი ოცნება იყო. დავდიოდი და ვფიქრობდი, ნეტა ერთი ის თოფი დილიდან საღამომდე ხელში დამაჭერინა და მერე, თუ გინდა, მომკლა-მეთქი.

ამ თხებმა ნამდვილად თავი მომაბეზრეს, არც კითხვას მაცდიდნენ და არც ბანაობას. ძალიან რომ მომწყინდებოდა, მაშინ ვფიქრობდი, მოდი, ამ ფარას აგერ იმ მინდვრისაკენ ვავრეკავ, სადაც ჩემი ტოლები ლახტს



თამაშობენ-მეთქი, მაგრამ თხებს მშვიდს ხომ ვერ დღე-ღამე ტოვებდი... იქ ბალახი გადამხმარი იყო და ისევე ჭალაში უნდა მეძებნა პირუტყვის საზრდო.

კითხვით ცოტას მაინც ვკითხულობდი. ყველა ჩემი წიგნი თითქმის ზეპირად ვიცოდი. კოლექტივის სამკითხველოში „პაჯი მურატი“ ვიშოვე აფხაზურ ენაზე. იმ დღესვე წავიკითხე. ჭკუიდან კინალამ შემშალა მთიულეების ვაჟკაცობამ.

ამ ზაფხულს ჩემთან ერთად თაქარა დადიოდა, იგი აფხაზური ჯიშის ძაღლი იყო, მგელზე მონადირე. თაქარას უცნაური თვალები ჰქონდა. ხანდახან გეგონებოდა, იმ თვალებში ლურჯი ალი ანთიაო, აი სწორედ ისეთი, ანთებულ ჭაჭის არაყს რომ უჩნდება. მგლის ჩამომავალს, ყურებიც მგელივით დაცქვეტილი ჰქონდა, მხოლოდ ოდნავ დამრგვალებული, ლამაზი თავ-პირი არ უგავდა თავის შორეულ წინაპარს.

თაქარა ენაჭარტალა შაქის ძაღლი იყო. ხალხი ამბობდა: შაქის მამბრუალა ენა აქვსო. გინდა თუ არ გინდა, თავის ჭკუაზე წაგიყვანს და წამოგიყვანსო. დაბერდა, დაჩიავდა, მაგრამ მის ენას საბრუნავი მაინც არ გამოეღლია. გადაუღვებოდა წინ გზაზე მიმავალ მეზობელს და სანამ ლაპარაკით ტვინს არ გამოულაყებდა, კაცი ხელიდან ვერ გამოგლეჯდა. ამიტომ ზოგიერთი სოფლელი ხანდახან გზას დაიგრძელებდა, შორიდან მოუვლიდა, ოღონდაც შაქის ჭიშკართან არ ჩაეველო.

ერთ საღამოს ჩვენს ეზოში შემობრძანდა. ჯერ დღე-ღამე ჩაივლო ხელში, იმდენი ექაქანა, სანამ მოსაწვე-

ლად გამზადებული თხა თიკანმა არ გამოწოვა, მერე სახლში რომ შევედით, ლამპის შუქზე გულდასმით ამხედ-  
დამხედა და კინალამ აქვითინდა.

— ნან! რა ოქრო ბიჭია შენი ნური, ღმერთმა ბედნი-  
ერი გავიზარლოს! უბედურო სივარნა, ცოდვა არ არის,  
შენ მიწაში იწვე და მე ამ ქვეყანაზე დავდიოდე! რატომ  
არ ხედავს შენი თვალები ამ ვაჟკაცს! ჯერ სულ ბალ-  
ლია, მაგრამ აბა შეხედე, ტანი როგორ აიყარა, როგორ  
დამშვენდა და დასრულდა!

ასაკთან შედარებით მე ძალიან პატარა ტანისა ვიყა-  
ვი და არ ვიცი, შაქიმ საიდან მოიგონა, სიმაღლე მო-  
ემატაო.

— ასე უნდა, შვილო, მალე უნდა გაიზარდო, რომ  
დედას მხარში ამოუღგე, — გადმოსდიოდა თაფლი შა-  
ქის ბავეს, — მოდი, ნან, ჩემთან, მოდი, ჩემო პაწაწავ,  
ჩემო ანგელოზო, — განაგრძო მან, თუმცა ხელი კი არ  
გამომიწოდა, კარგად იცოდა, მე მასთან არ მივიდოდი.

„ანგელოზო?“ მე გამოაცა ამ სიტყვამ და ჩემს ჭუჭ-  
ყიან ხელებს და დამსკლარ ფეხებს დავხედე.

შაქის დათაფლული სიტყვები მხოლოდ შესავალი  
იყო, მთავარი ამბავი ჯერ კიდევ არ ეთქვა, და სანამ  
იტყოდა, კიდევ ბევრი ცრემლი და თაფლი დაღვარა.

მწყემსი უნდოდა. მისი თხები უპატრონოდ დაეხეტე-  
ბოდნენ აღმა-დაღმა და მეზობლების ბალ-ბოსტნებს აჩა-  
ნაგებდნენ. ამის გამო ნახევარი სოფელი ემდუროდა შა-  
ქის. მასაც სხვა გზა არა ჰქონდა, ადგა და ყველაზე ღა-  
რიბ მეზობელს, დედაჩემს სთხოვა, შენმა ბიჭმა ჩემი  
თხებიც თან წაასხასო. გასამრჯელოდ ერთ ვაცს დამ-  
პირდა და კიდევ „ბევრ სხვა საუცხოო საჩუქარს“.



ერთი სიტყვით, მეორე დღეს, გათენდა თუ უკვე შაქის ჭიშკართან ვიდექი. ეზოდან ყვეფით ვარდა ლამაზი ლეკვი, ჩალისფერი მოკლე ბეწვი მხეზე ისე უბრწყინავდა, თითქოს ოქროში იყო დაფერილი. ლეკვი იყო, მაგრამ დიდი ძაღლის დაბოხებული სახეს ხმა ჰქონდა.

კბილებგადმოყრილი მომვარდა იგი, მე კი მშვიდად ჩავხედუე არყის ალივით მოლურჯო თვალებში... ლეკვმა ყვეფას თავი მიანება, წინ დამისკუბდა და კუდის ქიცინი დამიწყო. თვალებიც საოცრად გამოეცვალა, ალერსიანად შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „ნუ გეშინია, შენ არაფერს გიზამო“.



— თაქარა, თაქარა! შენ შეგჭამა მგელმა! — დაუყვირა სახლიდან გამოვარდნილმა შაქიმ.

ჩვენ კი, მე და ამ ლამაზმა ლეკვმა, უკვე მოვასწართ დამეგობრება და როდესაც თხები საბალახოდ გავრეკე, თაქარა ისე უყოყმანოდ გამომყვა, თითქოს ეს ასე იყო დაწესებული.

იმ დღიდან ჩვენ ერთმანეთს არ დავშორებივართ. თაქარა თავის სახლში მხოლოდ შებინდებისას ბრუნდებოდა და ალიონისას ისევ ჩემთან მორბოდა.

შაქის, რა თქმა უნდა, ეს არ მოსწონდა, მაგრამ რას იზამდა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ორივე მისი თხების მწყემსები ვიყავით.

— თაქარ! — დავუძახებ თუ არა, მაშინვე ჩემთან

გაჩნდება, და თუ ხმაში რაიმე წუხილი ან შიში შემატყო, ყურებდაცქვეტილი თვალებში მომაჩერდება.

— თაქარ, ეძებე! — ვეტყვი მე, როდესაც რომელიმე თხა არევეს ჩამორჩება. მაშინ მისი ანთებული თვალები თითქოს მეუბნებიან: ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო კარგო, მაგ უზნეოსაც მოვარჯულებო. ხანდახან ვერ გამიგებს, ან ღროსუე ვერ შემეხშიანება. მაშინ თუ ერთი საყვედური წამომცდა — „აი, აი, ჩემო თაქარ!“ — ის ყურებს ჩამოპყრის და კუდამოძეუბული იქვე ჩაჯდება. დროდადრო თავს ასწევს და დარცხვენილი შემომხედავს...



თაქარამ მუდამ იცის, ვარ თუ არა თამაშის გუნებაზე. ხანდახან ქუდს მომტაცებს და გაიქცევა, თუ ბიჭი ხარ, დამიჭირეო. სათამაშოდ მიწვევს, მაქვსებს.

თაქარამ ჩემზე კარგად იცოდა, რომელი თხა რა ზნისა იყო. ზოგი თხა რქებს წინ წაიგდებდა და თაქარას სარქვენად გამოუღდებოდა. ჩემი ჭკვიანი ძაღლი იმ უზნეო თხას არასდროს არ უკბენდა. ღრენითაც კი არ შეუღრენდა, მხოლოდ განზე გაუხტებოდა და შეურაცხყოფილი დაიწკმუტუნებდა. რაც შეეხება იმ თხებს, ბოსტანში შეპარვა რომ უყვარდათ, მათ არასდროს არ დაინდობდა და ხანდახან კანჭზეც გაპკრავდა კბილს.

არვეში ერთი თვალებგადმოკარკლული შავი თხა მყავდა. დღე არ იყო, ერთხელ მაინც არ გამპარვოდა, ყუათიანი ბალახი უნდოდა, თუ რას ეძებდა, არც მე და არც თაქარამ არ ვიცოდით. მხოლოდ ეს იყო, თვალს



მიეფარებოდა თუ არა, მაშინვე მისი შეშინებული კინი მოისმოდა. თაქარა შურდულივით მოსწყდებოდა ადგილს და მალე ის შავწვერა ქაჯი ფაცხაფუცხით ფარასთან მოირბენდა.

ზოგჯერ, საღამო ხანს, ტყიდან მგლის ყმუილი მოისმოდა, თაქარა ფხიზლად იყო. ყურები უცახცახებდა, ხმადაბლა იღრინებოდა, მე კი გული მწყდებოდა, რომ თოფი არ მქონდა.

ერთხელ თაქარამ სიკვდილს გადამარჩინა.

ერთმა მეზობელმა პატივი მცა და უცეცხლო თაფლი ნომცა. მეც დავჯექი და კარგად მივაძეხი. მერე მდინარეში ჩავედი საბანაოდ. უეცრად გული ცუდად გამიხდა, თავბრუ დამესხა. ჩემმა თხებმა ჯერ ყვითელი ფერი მიიღეს, მერე კი წითლად შეიღებნენ და თვალწინ დატრიალდნენ. დატრიალდა აღმოდებული ნაპირი, ნაპირზე მომდგარი სერები, მერე ერთბაშად ყველაფერი გაშავდა და მეც ცივი და ჩუმი სიბნელე შემომეხვია. გრძნობაზე რომ მოვედი, რიყეზე ვიწექი, ფეხები ისევ წყალში მქონდა. თაქარა თავზე მადგა და წკმუტუნებდა, ხელ-პირს მილოკავდა. ერთი ორჯერ მხარზე პირი ჩამავლო და ცოტაზე გამათრია.

— თაქარ, ჩემო თაქარ! — წავიჩურჩულე მე.

მთელი გულ-ღვიძლი მეწვოდა, თავი მისკდებოდა, ზირში საძაგელი გემო მქონდა, მარჯვენა ფერდი მტკიოდა, ალბათ ქვაზე მიმახეთქა წყალმა. ყველაფერი თაფლის ბრალი იყო. ბევრჯერ გამიგონია, ახალი თაფლი მხამიანია და თუ ბევრი შეჭამე, ხელ-ფეხის მოწყვეტა იცისო. წყალში არამც და არამც არ უნდა ჩავსულიყავ.

კიდევ კარგი, თაქარამ მიშველა, თორემ ახლა ზღვაში ვიქნებოდი ჩატანილი.

— თაქარ, ჩემო თაქარ! — ვჩურობდი მე და ძაღვამოღეული ხელით ჩემს მხსნელს ვეფერებოდი...

სექტემბერი მოახლოვდა, მალე ისევ სკოლაში უნდა წავიდე. გადავწყვიტე, შაქის ვთხოვო, — არ მინდა თეთრწვერა ვაცი და სხვა „საუცხოო საჩუქარი“, მხოლოდ თაქარა მომცეს და მე დიდად მადლობელი ვიქნები. სამწყემსურიდან რომ ვბრუნდებით, ძალღი შინ მიდის და ღამეს თავის პატრონთან ათევს. მე კი მაინც მგონია, რომ იგი მუდამ ჩემთან არის, მუდამ თვალწინ მიდგას მისი ჭკვიანი ალისფერი თვალები.

თქვენ ოდესმე მიგიქცევიათ ყურადღება ძაღლის თვალებისათვის? მე არასოდეს არ დამავიწყდება ერთი საღამო, როდესაც თაქარას თვალებმა პირდაპირ შემაძრწუნა.

იმ საღამოს თხები წყაროსთან გაბარდნილ ეკლნარში შევრეკე და მეც იქვე ჩავიკრიფე მუხლი დასასვენებლად.

ზღვიდან წამოსულმა ღრუბელმა მთელი ტატნობი დაფარა. ქარი ჩადგა, ჰაერი შეიხუთა. ერთი ფოთოლიც არსად ირჩეოდა. ღრუბელი თანდათან მძიმედ აწვებოდა დედამიწას და სულისთქმა ჭირდა. მხოლოდ დასავლეთით, სადაც ღრუბელი ჯერ კიდევ ვერ მისწვდომოდა ცისკიდურს, დაისის მზეს მთის წვერი წითლად შეეღება და გარშემო ყველაფერს სისხლის ფერი დასცემდა.

ამ სანახაობას თვალი ვერ მოვწყვიტე და გარბნულ  
ბული ვიჯექი.

— თაქარ! — ჩუმაღ დაუძახე ძაღლს, — შეხედე  
ცას, როგორი წითელია, ამინდი შეიცვლება.

ყოველთვის, როდესაც თაქარას ველაბარაკებოდი,  
ის გვერდზე მომიჯდებოდა და თავს მუხლზე დამა-  
ლებდა.

მაგრამ მე ახლა თვალი მომტაცა ამ ლამაზმა სანახაო-  
ბამ და გვიან დავინახე, რომ თაქარა ჩემთან არ იყო.

მაშინვე წამოვხტი და მივიხედ-მოვიხედე, ბევრი  
ძებნა არ დამჭირვებია. ჩემი თაქარა იქვე იწვა თხმელის  
ჩრდილში და ჩუმაღ წკმუტუნებდა, ისე ჩუმაღ, თითქოს  
კვნესას იკავებსო. მულამ დაცქვეტილი ყურები მიმჭკნა-  
რი ფოთოლივით ჩამოეყარა და საცოდავად შემომყუ-  
რებდა. მისი ვაწყალეებული თვალები შევლას მთხოვ-  
დნენ.

დაისის მზეს მისი თვალების თეთრი გარსი ისე გაე-  
წითლებინა, თითქოს სისხლში ცურავენო. მაგრამ ავერ  
ეს მზეც ჩავიდა, ჭალაში ბინდი ერთბაშად ჩამოწვა და  
თაქარას თვალებსაც ბინდისფერი დაედო, თითქოს ვი-  
ლაცამ სული შეუბერა და არყის ალი ჩაუქრო.

— რა მოგივიდა, თაქარ? ნუ გეშინია, მე აქა ვარ! --  
ხმის კანკალით წავჩურჩულე და კისერზე ხელი მოვ-  
ხეიე, იქნებ ფეხზე წამოვაყენო-მეთქი. მაგრამ თაქარა  
ოღნავ წამოიწია და ისევ მოწყვეტით დავარდა მი-  
წაზე.

ბარდებში მიყრილი თხები სასწრაფოდ წამოვეყარე  
და სოფლისაკენ გამოვრეკე. ვიფიქრე, გზაში ვინმე შემ-

ხვდება და ავადმყოფ თაქარას ვაჩვენებ, იქნებ რაიმე უშველოს-მეთქი.

სანამ წამოვიდოდი, ერთხელ კიდევ ვცადე და ძაღლს სახელი დავუძახე, ჩუმაღ დავუსტვინე, როგორც შინ წასვლის დროს ვუსტვენდი ხოლმე.

თაქარა წამოდგა, ორი-სამი ნაბიჯი ძლივს ვადმოდგა და ისევ დაეცა. თავი უძალოდ გვერდზე გადაუვარდა, გაყუჩდა, თითქოს სული ამოხდაო.

„ზურგზე მოვიკიდებ და ისე წავიყვან“, — გავიფიქრე, მაგრამ ხელი რომ მოვკიდე, მან თეთრი ბასრი ეშვები გადმოყარა და ჩუმაღ შემომღრინა.

ეს თაქარას არასოდეს არ უქნია.

„იქნებ გახელდა?“ — გამიელვა თავში და თაქარას სწრაფად გავეცალე.

ძაღლი თითქოს მიმიხვდა, რამაც შემაშინა, წელი ძლივს აითრია და ბანდალ-ბანდალით უკან გამომყვია.

„არაფერი გახელბულიც არ არის, უთუოდ რამემ აწყინა, ცოტა ხანს იავადმყოფებს და გაუვლის. არაფერი გახელბულიც არ არის“, — ვამშვიდებდი ჩემს თავს და ფარას წინ ნელი ნაბიჯით მივჭმდიოდი, რომ თაქარა ვზაში არ ჩამომჩენოდა.

შინ გვიან დავბრუნდი. ცაზე აქა-იქ ელავდა. საიდანღაც, შორიდან ჭექა-ქუხილი ისმოდა.

ინათა თუ არა, იმედინად მივადექი შაქის ეზოს, მაგრამ ჩემი თაქარა ღობის ძარში ჭლონოდ ეგდო და

ფეხზე ვერ დგებოდა. მხოლოდ თვალელები ოდნავ გააღო და დამნაშავესავით შემომხედა, თითქოს მითხრა: **მეცა** ტიე, ბიჭო, რომ არ შემიძლია შენთან წამოსვლაო.

შაქი რალაცას ლაქლაქებდა, მაგრამ მისი თავი ვის ჰქონდა. ქვითინი ძლივს შევიკავე. ბაკიდან თხები გამოვრეკე და ტყის გზას დავადექი.

გავიდა ერთი კვირა. თავჯარა მაინც ავად არის. ბალანი მოეთელა და ალაგ-ალაგ კიდეც გასცვივდა. ვახდა. ნეკნები ისე ამოყარა — პირდაპირ გული შეგიწუხდება. ალისფერ თვალელებზე ბინდი გადაეკრა... მხოლოდ როდესაც დამინახავს, ისევ ისე დამნაშავესავით ამომხედავს და სევდიან თვალელებს დახუჭავს.

მე მაინც იმედი მქონდა, რომ იგი მდიკეთებდა. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს. მანამდე კი ისევ ისე დავდიოდი სამწყემსურში, ვკითხულობდი წიგნებს და დავდევდი იმ ეშმაკის ფეხებს.

ავვისტო ილეოდა, უთენია შაქის ღობეს რომ მივადექი. ეზოში უცხო ხალხი დავინახე. მგონი, ჩემი დიასახლისის ნათესავეები იყვნენ. გზად გამოვევლოთ. ზოგიერთები ცხენებზე სხდებოდნენ და წასვლას აპირებდნენ, ზოგი ისევ კაკლის ძირში გაშლილ სუფრასთან იდგა და საკართანოს სვამდა.

ერთი კარგი მოსული ვაჟკაცი წაბლისფერ ულაყზე იჯდა. ცხენი აღვირს ითხოვდა და ფრთხვინავდა, უკანა ფეხებში იკეცებოდა. უცბად მხედარმა ღობის ძირში



მიგდებულ, ჩონჩხად ქცეულ თაქარას მოატანა თვალი.

— ჩემო დაო! — გაეხუმრა იგი დიასახლისს, — ამ ძაღლის შემხედვარე სტუმარს ყელში ლუკმა როგორ გადაუვა? რა დაგემართა, როდის იყავი ასეთი ძუნწი?

ახლა სხვებმაც აუბეს ბანი და შაქის სიცილი დააყარეს.

— რას ამბობ, კაცო! გამხდარი კი არა, ძაღლი სიმსუქნისაგან ფეხზე ვერ დგება.

— მე მგონია, მაგას განგებ აშიმშილებენ, რომ უფრო ავი გახდეს და მგელს არ შეუშინდეს! ხა-ხა-ხა.

— მაგის სინსილა კი გაწყდა! — ჩაიბურტყუნა დარცხვენილმა შაქიმ, — ძაღლი ავად არის, ხალხს კი ჰგონია, პატრონი აშიმშილებს, ერთი ნაგება ღომი ენანებაო.

სტუმრები წავიდნენ. შაქიმ სუფრის ალაგება დაიწყო. უცბად მე დამინახა და პირისახე გაებადრა.

— ნან! შენი ჭირიმე! მოხვედი უკვე? — მითხრა მან და თეფშები ისევ სუფრაზე დააწყო, — შემოდი, შემოდი, ერთი კარგად ვისაუზმოთ მე და შენ.

მეც უარი ველარ ვუთხარი და სუფრას მივუჯექი. შაქიმ ხაჭაპური გადმომიღო, ღვინოც დამისხა, ერთი სიტყვით, სანამ მეფური პატივი არ მცა, სუფრიდან არ ამაყენა. მერე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— იცი რა, ჩემო ნური? შენ ტყეში მარტო დადიხარ. აგერ ჩემი ქმრის თოფი კი კედელზე ტყუილად ჰკიდია წაიღე და მოიხმარე, ვინ იცის, რა შეგემთხვევა...

შაქიმ ჩაიციხა და თვალებში შემომხედა. ჯერ მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ ქალი წავიდა და სახლიდან თოფი მართლა გამოიტანა.

ამ თოფს ისე კარგად ვიცნობდი, სულ ზეპირად მცნობდა, სად რა ნაკაწრი და ნაფხაჭნი ჰქონდა. შიშისა და სიხარულისაგან ენა ჩამივარდა.

„ვაითუ შაქიმ გადაიფიქროს და თოფი უკან წაიღოს“.

კარგი იყო, არ ეჩვენებინა, მაგრამ რახან გამოიტანა, კიდეც უნდა მოეცა, თორემ გული გამისკლებოდა.

ჩემდა საბედნიეროდ, შაქიმ თოფი ხელში მომაჩეჩა და კიდეც გამიცინა.

თოფს ხელი დაეტაცე და ჭიშკრისაკენ მივტრიალდი. გუშინ სოფლის ბოლოში ორი კურდღელი წამომიხტა: თუ ისინი ვერ ვიპოვე, მელის სოროს მივადგები, ის მაინც ვერსად წამივა. ამიერიდან აღარც მგლისა შემეშინდება... ჰეი, მხეცებო და ნადირებო, მიფრთხილდით, ჩემი თხებისაკენ არ გამოიხედოთ, თორემ განანებთ, იცოდეთ. საწყალი თაქარა! ნეტავ შეეძლოს ჩემთან წამოსვლა.

ამ ფიქრში რომ ვიყავი, შაქიმ მხარზე ხელი დამადო და ლობესთან მიმიყვანა.

— აი ეს მოკალი და თოფიც შენი იქნება, — უცრად მითხრა მან და თაქარას ზიხლით გადახედა.

თავში თითქოს კეტი დამკრესო, ერთხანს გარეტიანებული ვიდექი. შერე გონს მოვედი და შაქის მუხლებში ჩაფუვარდი, შენი ჭირიმე, ეს მეორედ აღარ მითხრამეტქი.

— მალე კარგად გახდება. გუშინ მე თვითონ ვნახე, ამდგარიყო და ჭისთან წყალსა სვამდა, ორი დღეც არ გაივლის, ამის ყუფას გაიგონებ.



— რას ამბობ, შე სულელო, მეტი არ აღვა ჩემი მტერი, მაგ არ გამოკეთდეს! აქამდეც უნდა მომეკლავა ამდენ სირცხვილს გადავრჩებოდი. ხომ ხედავ, ხალხი რას ლაპარაკობს! თუმცა სახვეწარი რა მაქვს, შენ, როგორც ვეტყობა, ეს თოფი არ გინდა. მომეცი აქ...

მე დავინახე, როგორ გამოიშვირა მან ხელი თოფის წასართმევად, დავინახე და... უკან გადავხტი. მერე ბევრი აღარაფერი მახსოვს... თოფი შევმართე და თავი დავეუბნე.

სროლის ხმამ თავზარი დამცა. თოფის უკუცემამ კინდამ წამაქცია. ერთხანს ვერაფერი ვავარჩიე, მერე თვალეში სინათლე რომ დამიბრუნდა, სისხლში მოსვრილი თავი დავეინახე. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პირდაპირ თვალეში მიყურებდა. ძაღლის თვალეში ისევ ის ცისფერი ალი ენთო, და ის თვალეში ისეთივე ნდობითა და სიყვარულით მიცქეროდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რა ჩავიდინე.

„თავარ, ჩემო საწყალო თავარ“, — გმინავდა ჩემი გული...

— წაიღე და შორს გადაავლე!—გავივინე შაქის ხმა, იგი იქვე იდგა და ტუჩებმობრეცილი იყურებოდა.

უნზოდ მივტრიალდი, თოფი მოვიქნიე და მიწას დავახეთქე. მერე თავი დავლუნე და ჭიშკარს მივაშურე.

— სად მიდიხარ, ბიჭო? ვაგიჟდი თუ რა მოგივიდა? თხები არ უნდა წაიყვანო? — გამომიდგა ყვირილით შაქი.

მაგრამ მე წავედი და წავედი, უკან არ მომიხედავს.

— ჯანდაბაში წასულხარ! — მომაწყევლა მან. გინდა თეთრწვერა ვაცი?! ვერ მოგართვი, შე მართლა გვაჯა, შენა!

•

არ გასულა დიდი ხანი, სანატრელმა წვიმამ კოკისპირულად დაუშვა. დაგვაღულმა მიწამ სული მოითქვა. ნათესები ხარბად სვამდნენ უკვდავების წყალს. წვიმამ ყველა გაახარა, მეც გამახარა, რადგან ახლა კაცი ვერ შემატყობდა, ლოყებზე ცრემლი მდიოდა, თუ წვიმის წვეთები. წვიმის ხმაურში ჩემი სლუკუნის აღარ ისმოდა.

მეორე დილას დედამ ხელები გაშალა და შეიცხადა, ეს რა არის, შეილო, თმაში თეთრი გამოგრევიათ.

•

იმ დღეს სოფლის ორღობეში მივდიოდი. სადღაც ეზოდან ლამაზი ლეკვი გამოფარდა, ყუფა დამიწყო. ხან წინიდან შემომიბრბინა, ხან კიდევ ზურგიდან მომეტანა.

მე ჩუმად ვიგერიებდი და ვცდილობდი, მისი თვალები არ დამენახა, არც ის მინდოდა, რომ ლეკვი შემჩვევოდა და დანდობილი შემხვედროდა ამ გზაზე ვავლისას. დაე, მიყეფოს ასე ბრაზიანად, ასე სჯობია.

## ს ა ვ ს ე მ თ ვ ა რ ე

**უ**კვე სამი ღამეა, სუ-  
ზარის თვალებს ძი-  
ლი არ ეკარება.

სამი ღამეა ვასცქერის იგი უღელტეხილზე შემომ-  
დგარ სავსე მთვარეს და ყურს უგდებს ტყისპირიდან  
მოდენილ ყმუილს.

მთელი ღამე ყმუის მარტოხელა მგელი და მხოლოდ  
გათენებისას ჩაიწყვეტს ხმას, ხეობიდან შემოდგომის  
ცივი ქარი რომ დაუბერავს.

უკვე მესამედ ხედავს სუზარი ერთსა და იმავე სუ-  
რათს: შუალამე რომ მოატანს, მისი ქალიშვილი ამინა  
ფეხაკრეფით შემოდის სახლში. ვინ იცის, შეიძლება ეს  
დიდი ხანია ასე ხდებოდა და სუზარის უმაღავენ?

ახლა სძინავს სოფელს. არ სძინავს მხოლოდ სუზა-  
რის. მისი ტახტი აივანზე დგას. აქედან კარგად მო-



ჩანს ეზო-ჭიშკარი. ამინა კი ისევ იგვანებს: რა თა ამ გოგოს. მართალია, ახლა ბატარა აღარაა, პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა და სოფელში მასწავლებლობა დაიწყო, მაგრამ სუზარი მაინც შეფოთავს: იქნებ ამინას ვინმე ცუდლუტი ბიჭი გადაეკიდა, ტკბილი სიტყვით გოგოს თავბრუ დაახვია და შინ მოსვლა აღარ გაახსენა. არა, ჩემი ამინა ოჯახს არ შემირცხვენს, ვანა ისეთი სულელია, უგვანო ადამიანს ხელი გაუწოდოს.

გულმა ისევ შეუტია ავადმყოფს. ძლიერმა ტკივილმა წუხანდელი დარდი და ფიქრი ერთბაშად დაავიწყა. ხანდახან გონება დაებინდება, ისეთი ჭვალი დაადგება გულზე. სუზარი შარშანაც ვერ იყო კარგად, მაგრამ მადლობა ღმერთს, ავადმყოფობა ფეხზე გადაიტანა. იმედი არც ახლა დაუკარგავს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. აგერ უკვე აგრილდა, საცაა ინათებს. ჩიტები გაიდვიძებენ თუ არა, სუზარის ლოგინში რა გააჩერებს! ჯერ კიდევ რთველი არ მოლუულა, ნახევარი ჭირნახული დასაბინავებელია.

სუზარის კარგი თანაშემწე ჰყავს. ხუტას სამდურავს კაცი ვერ იტყვის, მაგრამ ცოტა ფიცხი და ჯიუტი ყმაწვილია. შრომის ნამდვილი ფასი ჯერ კიდევ არ იცის. ის ჯერჯერობით კოლმეურნეობას ვერ გაუძღვება...

რა წყნარი ღამეა. სუზარის მხოლოდ თავისი გულის ფრიალი ესმის. ნეტავი უფრო ცუდად არ გახდებოდეს! ამ აუტანელმა სიჩუმემ მთლად მოშალა კაციშვილი. იმ სათოფე მგელს რაღა მოუვიდა, ახლა ისიც აღარ ყმუის.

სუზარი ჯერ კიდევ ბაღლი იყო, მაშამ რომ უთხრა: მარტოხელა მგელი მხოლოდ მაშინ ყმუის, კბილი რომ

ასტიკვდებო. სხვები კი სხვანაირად ამბობდნენ: სოფლის ახლომახლო მგელი ყმუილს რომ დაიწყებს, უეჭველად ვინმე მოკვდებო.

„რა სისულელეა... უსაქმო კაცი რას არ მოიგონებს!“

სუზარის კი მგლის ყმუილი სიმღერად ეჩვენება. ტკივილი ავიწყდება, როდესაც ტყის პირიდან მხეცის გაბმული მოთქმა ავადმყოფის აივანს მოაწყდება.

დღეს კი სიჩუმეა. საოცარი სიჩუმე. ეს ქათქათა სახე მთვარე კიდევ უფრო აძლიერებს სიჩუმის შეგრძნებას.

ვიღაცამ ჭიშკარი გააღო. სუზარიმ თავი წამოსწია, მთვარის შუქზე ამინა დაინახა. ისე ფრთხილად და მსუბუქად მოდიოდა, თითქოს მიწაზე ფეხს არ აკარებდა. რაღაც სიხარულს უხილავი ფრთები გამოესხა მისთვის. რა უგავს ამას რვეულების სწორებით თვალეზამოღამებულ მასწავლებელს? არა, ცხადია, ის სკოლიდან არ მოდის. სუზარი ახლავე მოელაპარაკება ამინას, ახლავე! თუ ერთხელ კიდევ დაიგვიანა, მაშინ თვითონვე გამპარსოს წვერ-ულვაში, სანამ ხალხში თავი მომეჭრებოდეს!

ამინა ფეხაკრეფით ამოვიდა აივანზე, შეჩერდა. სუზარი ოდნავ მოჭუტული თვალეზით ჩუმად მისჩერებოდა მას.

„სძინავს!“ — გაიფიქრა ამინამ და სიხარულის ღიმილმა მისი თეთრი კბილები გამოაბრწყინა.

შავ დღეს დავაყენებო, — ფიქრობდა წელან სუზარი, მაგრამ ახლა გასუსული იწვა ტახტზე. იგი ყოველთვის ენდობოდა ამინას, სჯეროდა, რომ ის უჭკუოდ არ მოიქცეოდა, და ახლა მისი წმინდა ღიმილი რომ დაინა-

ნა, ჯავრი გულიდან გადაეყარა, დამშვიდდა. ერთი ხმა არ ამოუღია.

ამინამ კარი ჩუმად გააღო და ოთახში შევიდა.

— სად დაიკარგე, გოგო? შეიძლება ასე? — გაღებულ ფანჯრიდან, სუზარის მეუღლის, ნატას გაჯავრებული ხმა მოისმა.

ეტყობოდა, არც იმას ეძინა.

— ს-ს-ს, მამას ვააღვიძებ! — წასჩურჩულა ამინამ.

— პასუხი გამეცი, გოგო, რომ გეკითხები, სად იყავი აქამდე? — დაუტატანა დედამ.

— სკოლაში შემავიანდა. იცი, რამდენი ჯაფა დაადგა ჩემს წითელ ფანქარს? ყველა რვეული სავსე იყო შეცდომებით! — მიუგო ამინამ.

— შენ არ ჩაიღინო შეცდომა, თორემ იმას მერე ველარაფერი გაასწორებს! — ისევ აჩურჩულდა ნატა: — ცოტა უფრო ადრე ვერ გამოგიშვა? თუ სულ იმის ჭკუაზე უნდა იარო. ასე დამყოლი რომ იქნები, მალე მობეზრდები. დიახ, დიახ, ცხოვრებაში ასე ხდება ხოლმე. ვიცი, კარგი ყმაწვილია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მამაშენს სოფლის თავკაცობა უნდა. შენ და ის ბიჭი მარტო სადმე რომ დაგინახონ, ხალხი რას იტყვის! ჯერ შენი ქალიშვილი წესიერად გაზარდე, მერე მოდი და ჩვენ გვეუფროსეო.

ამინამ ისევ გაიცინა.

— რა დავაშავე, დედა, ასეთი? რატომ მეუბნები ამას?

— კარგად იცი, რატომ გეუბნები, თავს ნუ გამოიშტერებ. ნიშნობამდე მოერიდეთ ერთმანეთს, მარტო ნუ

შეხვედები, თორემ მამაშენმა თუ გაიგო... კარგ დღეს არ დაგაყენებს!

ამინამ არაფერი უბასუხა. ნატაც დაღუშდა. აივანზე ისევ აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა.

„ვინ ყმაწვილზე ლაპარაკობდნენ?“ ძალიან არ მოეწონა სუზარის დედა-შვილის საუბარი. არც ის მოეწონა, რომ ნატამ არა მარტო იცოდა ყველაფერი, — შვილსაც კი ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო. ამინა ჭკვიანი გოგოა, მაგრამ თუ დედამ ასეთი რჩევა-დარიგებით თავგზა აუბნია, შეიძლება გზას ასცდეს!

სუზარიმ მთვარეს შეხედა, მერე თვალი გააყოლა რძისფერ ბურუსში გახვეულ ხეებს და უეცრად ერთი ამბავი გაახსენდა.

როდესაც კაცი განვლილ ცხოვრებას თვალს გადაავლებს, ყველაფერი ერთბაშად როდი გაახსენდება. ჯერ ის დაუდგება თვალწინ, რაც ყველაზე ღრმად ჩაეჭრა სულში. და როგორც ბალახი ვერ დაფარავს ხალხის სავალ ბილიკს, ამგვარ განცდასაც დავიწყების მტვერი არ დაეყრება.

სუზარის დღემდე ახსოვს ერთი ძველი ამბავი, თუმცა სევდიანი, მაგრამ მისთვის მაინც დაუფიქარი.

მიიღია ზამთრის უკანასკნელი სუსხიანი დღეები. გამოიხედა მზემ და ახლომახლო სერებიდან ათასი დელე ერთად წამოვიდა. მოვიდა გაზაფხული, გამარჯვების პირველი გაზაფხული.

ომი ჯერ კიდევ დანთავრებული არ იყო, სუზარი ჰოსპიტლიდან რომ გამოწერეს. მატარებელი ტუაფსეს მიუახლოვდა, სუზარი აფორიაქდა. ფანჯარაში თავი

რომ გაპყო, ნათელ ცაზე ახალი ნამგალა მთვარე დაინახა. ის გამაღებელი მიჰქროდა ბნელში აღანდლებელ რების თხემზე, თითქოს მატარებელს სისწრაფეში ეჯიბრებოდა. მერე თვალეები დახუჭა და უეცრად თავისი მოწაფეების ჟრიაშული მოესმა, თითქოს სკოლის ზარის ხმაც გაიგონა. გულმა ბავაბუგი დაუწყო.

ომამდე სუზარი სოფლის მასწავლებელი იყო. მან მხოლოდ ერთი წელი იმუშავა სკოლაში. მერე ომი დაიწყო და ფრონტზე წავიდა. და აი ახლა, ოთხი წლის შემდეგ, ნაბრძოლი, ნაიარევი ჯარისკაცი ისევ სკოლას უბრუნდებოდა.

გათენებისას მატარებლიდან ჩამოხტა და სოფლისაკენ მიმავალ აღმართს შეუდგა. ხელმარცხნივ ლურჯი ზღვა გადაშლილიყო, მხოლოდ ნაპირ-ნაპირ გასდევდა თეთრი არშია და ისმოდა დაუცხრომელი ჩხრიალი ტალღისა. ისმოდა ჩიტების ჟივილ-ხივილი. ცაზე გაბნეულ თეთრ ღრუბლებს უკვე წაჰკიდებოდა ამომავალი მზის სხივი. აქ თითქოს ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, მხოლოდ წაქცეული ღობეები, ჟალტამით გაბარდული კარ-მიდამოები, დამბალ-დაძენძილი სახურავები, მიუხედავი ვენახები და ბაღები ისევ და ისევ ახსენებდნენ ადამიანს, რომ აქაურობას შინაკაცები აკლდნენ.

სუზარის არასდროს დაავიწყდება, სოფლის ქალებმარანაირად დაკოჟრებული, ყავარივით გახვევებული ხელებით ჩამოართვეს ხელი ომიდან დაბრუნებულ მასწავლებელს. განა ქალები ომამდე კი არ მუშაობდნენ, მაგრამ მაშინ მათი ხელები რა ნაზი და მსუბუქი იყო. ჩემი სოფლის ქალების ძვირფასო ხელებო! თქვენ ჩაიბარეთ

უდროოდ მიტოვებული ტრაქტორები და გუთნები, თონები და ნაჯახები, რომ ჩვენ, ომის კაცებს, ხელში იარაღი აგველო და სამშობლოს დასაცავად წავსულიყავით.

სუზარის არც ის დაავიწყდება, ჭრიალით რომ გააღო მხარჩამოვარდნილი ჭიშკარი და თავის ეზოში შევიდა.

— ამინა! ამინა! მამა ჩამოვიდა, ამინა! საღ დაიკარგე, გოგო! — გაჰყვიროდა სუზარის ცოლი ნატა და ჭიშკრისაკენ გარბოდა.

„ქუჩაში რომ შემხვედროდა, ნამღვილად ვერ ვიცნობდი“, — გაიფიქრა სუზარიმ და ნაბიჯი შეანელა ნაბიჯი იმიტომ შეანელა, რომ გული არ აჩუყებოდა... „როგორ დაბერებულა, გამხდარა, ქალის ლანდად ქცეულა!“

ნატას მოერიდა, ქმარს ვერ აკოცა და უხერხულად გაიცინა. გაიცინა თუ არა, თვალებიდან იმწამსვე დაბალუპით გადმოსკდა ცრემლი. მხოლოდ კბილებს შერჩენოდა ძველებური სითეთრე, ის კი არა, ისინი ახლა უფრო თეთრად ელვარებდნენ ნატას გატანჯულ, გამავებულ პირისახეზე.

პატარა ამინა სამზადი სახლის წინ იდგა და შეშინებული შეჰყურებდა ეზოში შემოსულ უცხო კაცს. ამინას მამა არ ახსოვდა. პატარა გოგოს დედასავით შავი თვალები ჰქონდა; დაპატარავებული, ჭუჭყიანი კაბა ეცვა, ათჯერ დაკერებული და ვადაკერებული. „ერთხელ კიდევ რომ გარეცხო, ხელში ძაფებილა შეგრჩება!“ გაიფიქრა სუზარიმ.



ერთი კვირის შემდეგ სუზარი კოლმეურნი თავმჯდომარედ აირჩიეს. ძალიან არ უნდოდა სკოლის მიტოვება, მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ მასწავლებლობაზე ოცნებობდა, მაგრამ ახლა სოფელს უარი ვეღარ უთხრა და უფრო დიდი სკოლა ჩაიბჯრა — ოთხასკომლიანი კოლმეურნობა.

სოფელში თითქმის ოჯახი არ იყო, სადაც თაღბებში ჩაცმული მგლოვიარე ქალები არ ყოფილიყვნენ. კოლმეურნობას მუშახელი აკლდა, სუზარი არ შეუშინდა ამ სიძნელეს და მხნედ მოჰკიდა ხელი მისთვის უჩვეულო საქმეს.

— შეიძლება ასე მუშაობა? ყოველ საქცევზე გუთანი უნდა გააჩერო და თამბაქო შეახვიო? — არცხვენდა სუზარი მოზარმაცო გუთნისდედას, მოხუც კოლმეურნეებს კი დღეში ათჯერ შეახსენებდა, — ჯეელებს მისაბაძი მაგალითი თქვენ უნდა მისცეთ, თუ კაცი ხართ, ცოტა კიდევ გაიჭირვეთ; სოფელი როგორმე ფეხზე დავაყენოთ.

მოწაფეებს ხეების დარგვა ასწავლა და მალე სოფლის გზებსა და ბილიკებზე ხეხილის ისეთი ხეივნები გააშენა, კაცი თვალს ვერ მოაშორებდა.

დაუნდობლად ებრძოდა ზარმაცებს და მეჩრდილიებს. ამავე დროს ზეპირად იცოდა ომში დაღუპულთა ოჯახების გასაჭირი: ვის შემას მოუტანდა, ვის საკარმიდამო ნაკვეთს მოუხნავდა, ვენახს გაუსხლავდა ან სახლის სახურავზე ყავარს გამოუცვლიდა.

მუდამ დაუზარელ, უანგარო და მიუკერძოებელ ხელმძღვანელს სოფელიც მხარში ამოუდგა.



ასე მისდევდა ღღეები ღღეებს, წელიწადი წელიწადს.

სოფელი თანდათან გამოცოცხლდა. აქა-იქ მივიწყებული სიმღერაც გაისმა.

ერთხელ დაღამებულში სუზარი შინ ბრუნდებოდა. მთვარე სწრაფად მიცურავდა თეთრად გაპენტოილ ღრუბლებში. სუზარის მოაგონდა, რომ სწორედ ასეთი მთვარე მოსდევდა იმ მატარებელს, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები სოფელში რომ მოჰყავდა.

როგორც ბოლო დროს დასჩემდა, ის ახლაც სკოლასთან შეჩერდა. ქარს მოჰქონდა დაყვავილებული ვაშლის ხეების ნაზი სურნელი. სკოლის ერთი ფანჯარა ნაკვერჩხალივით წითლად ანათებდა.

სუზარი შეკრთა, „ის იქ არის!“ გაიფიქრა მან. მაშინ ჯერ კიდევ ჯანმრთელმა გულმა ყრუ ტკივილი დაუწყო. უნდოდა უხმოდ ჩაეველო და ვხა განეგრძო, მაგრამ თავს ვეღარ მოერიო. სუნთქვაშეკრულმა სკოლის კიბეზე აირბინა და კარზე დააკაკუნა. პასუხს აღარ დაუცადა, კარი შეაღო და ოთახში ისე სწრაფად შევიდა — კარგი მახარობელი რომ გინახავს.

მაგიდაზე პატარა ნათურა იდგა. ღია ფერის აბაჟურზე წითელი თავსაფარი იყო გადაფარებული. სინათლის ვიწრო რკალში თვალის მომჭრელად ქათქათებდა გადაშლილი რვეული.

მაგიდას ახალგაზრდა ქალი უჯდა. კარმა რომ გაიხმაურა, იგი სწრაფად წამოდგა. ლამაზი, ტანადი ქალი იყო, ავუშას ეძახდნენ.

ავუშას არც შეშინებია და არც გაჰკვირვებია სუზა-

რის სტუმრობა. პირიქით, მან იცოდა, ეს ასე უნდა მომხდარიყო და დიდი ხანია მოელოდა ამ წუთს. ის თითქოს უფრო დამშვიდდა, სუზარი რომ დაინახა, მხოლოდ თვალები უბრწყინავდნენ რაღაც ჩუმი შინაგანი მღელვარებით.

— მაპატიეთ, ასე გვიან რომ შემოვიჭერი თქვენთან, მაგრამ... — სუზარის სიტყვა გაუწყდა.

— არაფერია, დაბრძანდით, ვისაუბროთ. — უთხრა ქალმა და სკამი მიაწოდა.

„ნეტა არ მოვსულიყავ!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა სუზარში.

ისინი პირველად კაკლების ხეივანში შეხვდნენ ერთმანეთს. სექტემბრის მზიანი დილა იყო. აგუშა პირველ გაკვეთილზე მიდიოდა სკოლაში, სუზარი კი მინდვრისაკენ მიიჩქაროდა.

სოფელში უცხო ადამიანს რომ შეხვდებიან, იმას სტუმრად სთვლიან და ყოველთვის ასე ეუბნებიან: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“. სუზარიც ასე მიესალმა მასწავლებელ ქალს. აგუშამ მიუგო: „ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალსო“.

შეხვდნენ და დაშორება გაუძნელდათ. თითქოს მთელი ეს წლები ერთმანეთს ეძებდნენო და ჯერ კიდევ არა სჯერათ, რომ ძებნა დასრულდა და ერთმანეთი იპოვნესო. ერთხანს ჩუმად, უსიტყვოდ იდგნენ ხეივანში, მერე ერთმანეთს მკრთალად გაულიმეს და გზა განაგრძეს.

ამ დღიდან მოკიდებული ისინი თითქმის ყოველ დილას ხვდებოდნენ ამ ხეივანში. სალამი, ისევ ის



მკრთალი ღიმილი, ისევ ის გაუბედავი შემოხედვა... და ერთმანეთს უხმოდ გაეცლებოდნენ.

ეს თეთრი ვიწრო ბილიკი კაკლების ხეივანში კი არა, თითქოს სუზარის გულში გადიოდა.

— ალბათ ამინას ამბავი გაინტერესებს, — ცოტა დაძაბულად უთხრა აგუშამ.

— ამინას?.. ჰო, დიახ! ამინას?! რა უცბად გაიზარდა, ომში რომ წავედი, ორი წლისა იყო; დავბრუნდი და ვერ მიცნო. ერთხანს ახლო არ მეკარებოდა, ჩემი ეშინოდა. — სთქვა სუზარიმ და თვითონვე გაუკვირდა, რომ ეს მოახერხა, ამდენი სიტყვა ერთად წარმოსთქვა.

— ძალიან ჭკვიანი და წესიერი გოგოა. დედის ხელი ეტყობა...

სუზარის მწარედ გაეღიმა. სხვა იყო მისი გულის ნაღები, სხვა რამე უნდოდა ეთქვა ქალისათვის, საუბარი კი სულ სხვა კალაპოტს გაჰყვა.

— მგონი, შენც მასწავლებელი ხარ, — უთხრა ქალმა, თუმცა ეტყობოდა, იმას არ ლაპარაკობდა, რასაც ფიქრობდა.

— დიახ, მასწავლებელი ვიყავი, ახლა კი, როგორც ხედავ, სხვა საქმეს მოვიკიდე ხელი. ჩვენი კოლმეურნეობა ცოტა რომ გაძლიერდება და ხალხიც სულს მოითქვამს, მე ისევ სკოლას დავუბრუნდები. ჯერჯერობით კი ეს შეუძლებელია. სოფელში კიდევ არიან ისეთები, ვახსენება რომ სჭირდება — სამუშაოზე წადითო. ზოგი ჩრდილს ეძებს, ზოგი კიდევ რას არ მოიმიზეზებს ხოლმე, რომ საზოგადო საქმეს თავი აარიდოს. ასეთ პირობებში მე უფლება არა მაქვს საკუთარ თავზე ვიზრუნო.

სუზარის თვალებს ნაღველი გადაჰფენოდა.

— გულს ნუ გაიტეხ, — უთხრა ქალმა. — ყველაფერი ჩაღვება თავის კალაპოტში. ხალხს შენი იმედი აქვს, ამიტომ ყოველგვარ უსიამოვნებას უნდა გაუძლო. ხალხი არაფერს არ იფიწყებს, მეტადრე სიკეთეს.

— მე არაფერი მინდა. მოვკვდები და... ძველი უკვე მიცდის: მამა-პაპათა საფლავზე ერთი ძველი გუნდისხე დგას! — ნაღვლიანად ჩაიციხა სუზარიმ: — დავიღალე, ცოტა უხეში გავხდი. არ მინდა ვინმეს ცუდი სიტყვა ვუთხრა, მაგრამ თავს ვეღარ ვიკავებ, მეტადრე იმ წუთებში, ჩემი შინმოუსვლელი მეგობრები რომ გამახსენდება; მაშინვე თვალწინ დამიდგება ჩვენი სკოლის ეზო, სადაც ბურთს ვთამაშობდით, მესმის მდინარის ჩხრიალი, სადაც ცხენებს ვაბანავებდით. მერე გავივლი სოფელში, დავხედავ ჩემი ტოლების დათაღხულ დედებსა და ცოლებს, ვხედავ უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს და მაშინ თითქოს შორეული ხმა მეძახის, „დაეხმარე, ბიჭო, ჩვენს ქვრივ-ობლებს, რომ კერია არ ჩაუქრესო!“ ეს ხმა არ მასვენებს, ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ხმას წაუყრუოს.

იმ ღამეს სუზარის დიდხანს არ დაუძინია. სკოლიდან პირდაპირ შინ წავიდა, მაგრამ ეზოში არ შესულა. ცოლ-შვილს უკვე ეძინა. ისინი შეჩვეული იყვნენ, რომ სუზარი ხშირად ნაშუაღამევს ბრუნდებოდა.

კაცი ერთხანს ჭიშკართან ჩაფიქრებული იდგა, მერე უკანვე გაბრუნდა და ისევ იმ ბილიკს გაჰყვა, სკოლისკენ რომ მიდიოდა. იმ განათებულ ფანჯარას ვეღარ შორდებოდა.

ყოველ ადამიანს თავისი ბილიკი აქვს, რომ ცხოვრების დიდ გზაზე გამოვიდეს. ამგვარ ბილიკზე ვერდიტუნდა ვედვას ძალიან ახლობელი და ძალიან საჭირო ადამიანი. მაშინ ამ გზას ადვილად გაივლი. მაგრამ ცხოვრებაში ხშირად ხდება: ვიწრო ბილიკს იმდენი მგზავრი მოაწყდება ხოლმე, რომ იმ თრომტრიალში ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ადამიანი ველარ ვიპოვნია.

მთელი ღამე დაეხეტებოდა სუზარი. უძილობისა და ფიქრისაგან თვალეები ჩაულამდა. კარგად რომ ინათა, პირდაპირ სამუშაოზე წავიდა.

ბედნიერება მოსდევს ისეთი ქალ-ვაჟის შეხვედრას, ერთმანეთისათვის რომ არიან გაჩენილები. ისინი ერთად უნდა დაადგნენ ცხოვრების გზას, მხარში უნდა ამოუდგნენ ერთმანეთს, მაგრამ თუ მათი შეერთება შეუძლებელია, მაშინ უმჯობესია სამუდამოდ განშორდნენ ერთმანეთს.

და სწორედ იმავე წელს, როგორც კი საზაფხულო არდადეგები დაიწყო, აგუშა სოფლიდან წავიდა. იმ დღიდან მოკიდებული მას ერთხელაც არ გაუვლია კაკლების ხეივანში, სადაც სუზარის ცისმარე დილას ხვდებოდა.

საოცარია კაცის გული. სუზარის მაინც ეჩვენებოდა, რომ აგუშამ აგერ ახლა ჩაიარა ამ ბილიკზეო.

გაზაფხული გაზაფხულს მისდევდა. მიდიოდნენ წლე-



ბი. ყოველმა გაზაფხულმა რაღაც ახალი ჯილდო დასთხოვა. კეთე მოუტანა დედამიწას, სუზარის კი გაუნდობელი თოვლი დაუტოვა გრუნა თმაში, ჩაუფერფლა მუქი ცისფერი თვალები.

აგერ უკვე ცისკიდურზე დაეკიდა სავსე მთვარე. რამდენჯერ ამოსულა იგი ამ მეღნისფერ ცაზე, — მერე ისევ ავსებულა, ისევ დაღეულა და დაპატარავებულა, მაგრამ სუზარის მაშინ მისთვის არ ეცალა. ახლა კი ეჩვენება, რომ ეს ისევ ის მთვარეა, ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს რომ მოაცილებდა სოფლისაკენ და ათასგვარ იმედს უღვიძებდა გულში.

სუზარის არ სძინავს, ტკივილთან ერთად მოგონებაც არ ასვენებს. მას არასდროს არ ჰქონია დრო მოგონებებისათვის.

ზღვიდან ქარმა დაუბერა. ამრიალდა აივნის სვეტებზე შემოხვეული ვაზი. ერთბაშად ქარმა მაჭრის სუნი მოიტანა. სუნი ისეთი მძაფრი და ძლიერი იყო, სუზარის თვალებზე ცრემლი მოადგა.

„ვაითუ მაჭარმა კასრი გახეთქა! ნუთუ ხუტამ მარანი ბედის ანაბარა დატოვა?“

სუზარი ლოგინიდან წამოვარდა. უეცრად გულში ჩხვლეტა იგრძნო, თვალი დაუბნელდა და იქვე ჩაიკეცა. სანამ გრძნობას დაკარგავდა, წამიერად მოეჩვენა, რომ მთვარე გამავდა და გრამოფონის ფირფიტასავით დატრიალდა.

სუზარის მეტი არაფერი ახსოვდა.

გათენებისას გონზე რომ მოვიდა, გული თანაბრად და წყნარად უცემდა. ოღონდ მთელი ტან-ფეხი ისე დაჟე-

კილი ჰქონდა, თითქოს ხიდან გადმოვარდაო. სუზარი მიხვდა, რომ დღეს ლოგინიდან ვერ წამოდგებოდა. ის კი არა, უნდა ეცადოს, რომ შინაურებმა არაფერი შეატყონ, მერე უქეიფობაც გაუვლის.

ვაითუ ისევ გულმა უღალატოს? მაშინ ისევ ექიმს უნდა დაუძახონ, ისევ წამლები და მთელი ხათაბალა. ყველა გაიგებს, ჩვენი თავმჯდომარე ავად გამხდარაო. ნეტა ვიცოდე, მოერევა ხუტა ამოდენა მეურნეობას? კიდეც რამდენი საქმე დამრჩა დასამთავრებელი!

სუზარიმ ეზოს თვალი გადაავლო, შხის სხივები უკვე ტალავერს მოსდგომოდა. კარგა ხნის გათენებული იყო. სახლის კარი ღია დაუტოვებია ვილაცას. ამინაც არსად ჩანდა, კარ-მიდამოში ჩამიჩუმე არ ისმოდა. ამინას მაინც რალა დაემართა, რატომ გამირბის? ვერ მივაქციე ყურადღება. ის უკვე დაქალდა, ჭკუაში ჩავარდა, მე კი ჯერაც არ ვიცი, რითი სუნთქავს ჩემი გოგო, გულში რა უძევს!

სუზარის მღელვარება დაეტყო: „ყველაფერი იმის ბრალია, რომ შეუძლოდ ვარ, დავსუსტდი, ავადმყოფობა მომერია და ამან შემაშინა!“ — შეატრიალა ფიქრი კაცმა, რომ სულის მშვიდობა ეპოვა, მაგრამ მაინც ვერ დაწყნარდა.

წინათ ამინა ყოველ ცისმარე დილას მამასთან ერთად დგებოდა, საუზმეს ამზადებდა, ხუმრობდა, იცინოდა, სულ რაღაცას უამბობდა. ამ ბოლო დროს კი ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. თვალს ვერ მოატან, ამინა ისე უეცრად სადღაც გაქრება და ასევე მოულოდნელად გამოჩნდება.

— ვინ არის სახლში? ხმა გამეცით! — დავიწყებია/ ავადმყოფმა. საკუთარი ხმა ეუცხოვა, თითქოს სხვა სხვა  
დაც იძახდა. ამან უფრო გაუფუჭა ხასიათი და მეორედ  
ხმა არ გაიღო.

კარებში ნატა ვამოჩნდა. როგორ გასუქდა, განებივრ-  
და... საკაიდეო კაბაც რომ ჩაუცვამს, თითქოს სტუმ-  
რად აპირებდეს წასვლას.

— ლოგინში კოტრიალი სჯობია, რა თქმა უნდა! —  
დაცინვით უთხრა ნატამ.

„რატომ ლაპარაკობს ასე! ხომ იცის, რომ მე ტყუილ-  
უბრალოდ კაცი ლოგინში ვერ გამაჩერებს! — გაი-  
ფიქრა ნაწყენმა სუზარიმ: — ეტყობა, ეს ჩემი ნატა ვე-  
რაფერს ხედავს. ხალხი სწორად ამბობს: როცა გულს არ  
უნდა, თვალიც დაბრმავდებაო“.

— სად არის ამინა, რატომ არ შეკარება? — ჰკითხა  
სუზარიმ.

— კიდევ კარგი, ახლა მაინც გაგახსენდა შენი შვი-  
ლი. შენ ყველა განსოვს სოფელში, მრუდე და მართალი!  
ვის რა უჭირს, ვის რა უღბინს, მხოლოდ შენი მანლობე-  
ლი აღამიანები გამოგრჩა მხედველობიდან! ერთი გო-  
გო გყავს, წელიწადში ერთხელ არ მოიკითხავ, ცოლი  
ხომ სულ აღარ გინდა!

— ცოტა ენას რომ დაიმოკლებდე, ის ვირჩევნია, —  
შეუბღვირა სუზარიმ. — გეკითხები, სად არის ამინა?

— სად არის? მე რატომ მეკითხები ამას, მე ის უკვე  
აღარაფერს მიჯერებს. ოჯახში უფროსს რომ ვეღარ  
ხედავს, ისიც ფიქრობს, ყველაფრის უფლება მაქვსო...

სკოლიდან რომ დაბრუნდება, დაუძახე და იმას ელაპარაკე, მე კი დღეიდან ნურაფერს შეკითხები.

ნატა ოთახში შევიდა. ქმარმა ნალვლიანად გააყოლა თვალი და ამოიხრბა; რამდენი წელიწადია ერთად ცხოვრობენ, მაგრამ არ იქნა და არა, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ვერ გაუგო.

სუზარიმ სკოლა რომ დაამთავრა, იმ წელიწადს ქალაქში სასწავლებლად ვერ წავიდა. ძალიან უნდოდა მასწავლებლობა, მაგრამ მოხუცი დედა შინ მარტო ვერ დატოვებდა. კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. დედას ძალიან მოსწონდა ლამაზი, მოხდენილი ნატა, დღეში ათჯერ ეტყოდა სუზარის, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, რძლად ის გოგო მომიყვანეო. შვილმა დედას ხათრი ვერ გაუტეხა...

გავიდა დრო, დედა გარდაიცვალა, ნატას ამინა შეეძინა. მალე სუზარი ქალაქში სასწავლებლად წავიდა. მთელი ოჯახი ნატას დააწვა მხრებზე, ქალმა უკაცობა მაინც არ დაიმჩნია. სტუმარსაც და მეზობელსაც მუდამ ხელგამლილი ხვდებოდა, მაგრამ ოჯახში მაინც არ იყო თანხმობა. ცოლ-ქმარი ერთიმეორისაგან უსახლვროდ იყვნენ დაშორებულნი. ბოლო დროს სუზარი ცალკე ოთახშიც კი იძინებდა. თავის ნაფიქრსა და ნაგულვებს ნატას არასდროს არ გაუზიარებდა, ხანდახან კიდევ ეცოდებოდა ნატა, რომ ის ასე მიგდებული ჰყავდა, მაგრამ რა წამსაც გაახსენდებოდა მისი გულცივი სიტყვა, მისი დამცინავი გამოხედვა, როდესაც სუზარი სკოლიდან გახარებული დაბრუნდებოდა, — კაცის გულში სიბრაულულს ადგილი აღარ რჩებოდა. „რაც არ უნდა გავაკე-



ო, ჩემი არაფერი აინტერესებს!“ — ფიქრობდა სუზარი და ძალიან წუხდა, რომ საკუთარ ვულს არ დაუჯერა და ვინც არ უყვარდა, თავისი ბედი იმას დაუკავშირა.

მაგრამ ეს უკვე წარსული საქმეა, ახლა ზედმეტია ამაზე ფიქრი. მამას ამინას ბედი აწუხებს, ფიქრობს და ვერ გაურკვევია, რატომ გაურბის მამასთან საუბარს:

„თუ კიდევ შეავკიანდა, მე თვითონ მოველაპარაკებო!“ — გადაწყვიტა სუზარიმ და თითქოს დამშვიდდა, ტკივილიც დაუამდა.

ამ დროს ჭიშკრიდან მისი მოადგილის — ხუტას ხმა მოესმა:

— მასპინძელო!

სუზარმა ტახტიდან ძლივს წამოიწია.

— ხუტა, შენა ხარ?

— მე ვარ. დღეს რატომ არ გამოჩნდი, ხომ მშვიდობაა!

ხუტა ისევ ჭიშკართან იდგა და ეტყობოდა, ეზოში შემოსვლას არ აპირებდა.

— იცი რა, გუშინ ცოლის ნათესავები შემხვდნენ, მტაცეს ხელი და არ გამიშვეს, პური ერთად ვჭამოთო. დამათვრეს იმ ეშმაკის კერძებმა, შინ გათენებისას დავბრუნდი. აღრე გავიღვიძე, მაგრამ თავი ვერ წამოვწიე.

— რა მოხდა მერე, ბიძია სუზარი! დაისვენეთ, სადარღებელი არაფერია, ჭალაში სიმიინდი უკვე მოგტეხეთ, მე უკანასკნელ მანქანას გამოვყევი და შენ გამოგიარე.

— ხუტა, გუშინ დამავიწყდა მეტქვა, ხიდზე რამდენიმე ფიცარი დამპალა, შენი ჭირიმე, ახლავე ვაგზავნე

ვინმე, რომ ფიცრები გამოცვალოს, თორემ შეიძლება მანქანას თვალი ჩაუვარდეს.

— ყველაფერს გადააკეთებ.

— თუ კაცი ხარ, მარანშიაც შეიარე, კასრი ხომ არ გახეთქილა, მთელი ღამე ღვინის სუნი მცემდა.

— წუხელ ღვინო გადაიღეს. დილა-ბნელზე იქ ვიყავი.

— მაშინ ყველაფერი გასაგებია. აი კიდეც რა... ხვალ თამბაქო ქარხანაში უნდა წაიღო.

— კარგი, ბიძია სუზარი.

— ბიჭებს მიხედვ, ცუდლუტობა არ დაიწყონ, ახლა სასეირნოდ აღარ გვცალია, ცოტა კიდეც გავიჭირვოთ და...

— მოვასწრებთ, ყველაფერს გადააკეთებ! — დაამედა ხუტამ. სასწრაფოდ გამოემშვიდობა და ის იყო ჭიმკარს მოშორდა, რომ უცბად ისევ მობრუნდა და ნატას გასძახა:

— ნუ დაიგვიანებ, დეიდა ნატა, ქალები გელიან.

— ჩემი საათი შენ არა ხარ! მე ვიცი, როდის არის გვიან და როდის ადრე, — ბრაზიანად მიუგო ნატამ.

კაცების საუბრის დროს ის კარებში იდგა და შუბლშეკრული გასცქეროდა თავმჯდომარის მოადგილეს.

— შენ გაგიხმა მაგ ენა, შე უსვინდისო! როგორ ელაპარაკები კაცს! — აღშფოთდა სუზარი.

— კაცი კი არა... — აღარ დაამთავრა ქალმა და ტუჩები აიბზუა. — ეგლა მაკლია, ახლა მაგან დამიწყოს მბრძანებლობა.

— გული გამიწყალა შენმა ლაყბობამ, წადი, რა-  
ღას უცდი, სირცხვილია, ასეთ ალოობის დროს შენ  
ჯდომბა.

— წასვლით კი წავალ, მაგრამ იცოდნე, სამუშაოზე  
გასვლას არ ვაპირებ. მე ჩემი საქმე მაქვს, ქვეყანა არ და-  
იქცევა, თუ დღეს უჩემოდ იქნებიან. შენ კი ნამდვილად  
გეშინია ნახარის ქეციანი ბიჭისა. რატომ მოატყუე, გუ-  
შინ მთვრალი ვიყავით. არ გინდა გამოტყუდე, რომ ავად  
ხარ? მაშ რატომ? გული გიკანკალებს, რომ ხუტამ ად-  
გილი არ წაგართვას? მართლაც უნდა გეშინოდეს! მთე-  
ლი ძალ-ღონე კოლექტივს შეაღიე, ათი შენი წონა ოფ-  
ელი დაღვარე ამ მიწაზე, ახლა კი შენს ნაოფლარს შენი  
მოადგილე მიითვისებს!

ნატამ ეს ყველაფერი პირში უნდილად მიახალა ავად-  
მყოფ ქმარს.

„შენი ბედი, რომ ადგომა არ შემიძლია, თორემ ამო-  
გაცლიდი მაგ ენას!“ — ფიქრობდა სუზარი და გაოცებუ-  
ლი შეჰყურებდა მთლად გაუცხოებულ დედაკაცს.

— მაგ ნაბიჭვარი თუ არა, სხვა ვინ გაუბედავდა თავი-  
ჯდომარის მეუღლეს — კალთა აიკაპიწე და ყანაში გა-  
დიო, შენ კი ვერ მიხვდი, შე რეგვენო, რომ ამით შენი  
მოადგილე დამცინის, შენ კი ხმას არ იღებ! ის ყოველ  
კრებაზე ჩუმ-ჩუმად გებრძვის, შენ კი იქაც პირში წყალი  
დაგიგუბებია.

ნატა თანდათან გათამამდა, თუმცა ცალი თვალი  
სუზარისაკენ ეჭირა, ზურგში არაფერი მომყოლოსო.

— ნუ წააგდე ენა, წადი, რომ გეუბნები! გეყოფა, რაც  
გული მომიშხამე! — უყვირა სუზარიმ.

— ახია შენზე! კაცმა მუშაობაც უნდა იცოდეს და დასვენებაც, შენ კი ერთხელ რომ შეეხები უღელში, მერე იქიდან არც დღე, არც ღამე არ გამოუხსნისხარ არავის. მერე რა მიიღე ამისათვის სამაგიერო? სულს ძლივს იტყვამ, ხელაუ? — ნატამ თავშალი მოიხურა და კიბეზე დაეშვა, — საჭმელი მაგიდაზე დაგიტოვე. მე გვიან დავბრუნდები.

მომშაღლევდა, დიდი ხეების ჩრდილები თანდათან დაბატარავდნენ და უფრო შავად დააჩნდნენ მიწას, მერე მთიდან გრილმა ნიაგმა დაუბერა და სუზარიც მოცოცხლდა. სუნთქვა გაუადვილდა, თვალები გაახილა.

მისი ოდა-სახლი მალალ ბორცვზე იდგა. აქედან ბევრი რამ ჩანდა: ამწვანებული გორაკები, ზვრები, ჩალიანები და სულ ქვემოთ — მზით გაჯერებული ზღვა ელავდა. სუზარი დიდხანს გასცქეროდა ზღვის ნაპირს და აგონდებოდა ის დღე, ომიდან რომ დაბრუნდა, მაშინაც ზღვა ასეთი ლურჯი იყო და ასევე თეთრი ქაფის არშია ჰქონდა შემოვლებული.

გარშემო ყველაფერი გულდამცხრალი, დამშვიდებული იყო. სუზარის გულში კი შიში და შფოთი ჩამდგარიყო.

რა მოუვიდა ამინას?

რატომ იქცევა ნატა ასე უდიერად, საიდან აქვს ამდენი ღვარძლი?

რატომ არ დაიბარა, სად წავიდა, ასე მწარედ რამ შეაძულა ხუტა?

„შართალია, ხუტა ყველა კრებაზე მეკამათება, მედავება, მაგრამ ის ნიჭიერი ბიჭია, საქმე ეხერხება, თანაც



ჩემსავით ჩხუბი და ყვირილი არ უყვარს“. მაგრამ სუზარის რატომღაც ეჩვენებოდა, რომ ხუტა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო და კოლმეურნეობას ვერ გაუძღვებოდა. თუმცა სადღაც გულის კუნჭულში კი გრძნობდა, რომ ეს ასე არ იყო, რომ მისი მოადგილე ტოლს არ დაუდებდა სუზარის.

ტკივილი მაინც არ გაუყუჩდა, მწარე ფიქრებმაც ვერ უშველა! გულში ისევ ჩხვლეტდა ის მოუშორებელი ლურსმანი.

სოფელში ბევრი ესაყვედურება სუზარის, პირზე მხოლოდ ერთი რამ გაკერია, იმუშავე, უქმად გაჩერებული არ დაგინახო.

გლენებმა რომ იცოდნენ, როგორ უნდოდა სუზარის მასწავლებლობა! მაგრამ სოფელს ვერ უღალატა, სოფელს მისი თავი სჭირდებოდა და ისიც ადგა და მასწავლებლის წყნარი სამუშაო კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოუსვენარ ცხოვრებაზე გასცვალა.

ახლა სუზარის მხოლოდ ერთი რამ ენატრება: არსად არ ეჩქარებოდეს, იჯდეს სადმე სტუმრად, ან ქორწილში, ან ნათლობაში, უყურებდეს მეზობლებს თვალეზადიმებული... დავიწყებული ჰქონდეს ყველა დავა და უთანხმოება და მხოლოდ ტკბილი სიტყვა და კეთილი სადღეგრძელო ამოსდიოდეს პირიდან. ოდნავ ნალვინევ, შუახანს მიღწეულ კაცს უფლება აქვს გამოუტყდეს ხალხს სიყვარულში და თქვას, რომ მხოლოდ მათთვის ცოცხლობს, მათი ჭირი და ღხინი მიაჩნია თავის ჭირად და ღხინად...

მუშაობის დროს ტკბილი სიტყვა იშვიათად თუ წამოსცდებოდა სუზარის, ახლა კი სიამოვნებით მოეფერებოდა ყველას, ვისაც ის ყანასა თუ ვენახში მუდამდღე ებუზღუნებოდა, თუ გინდა ხუტა იყოს, ნახარის ვაჟი. თამადობა არ უყვარდა სუზარის, მაგრამ ახლა, ხუტამ რომ ქალი მოიყვანოს, იმ ქორწილში თამადობაზე უარს არ იტყვოდა.

გართობა და დროს ტარება სუზარიმ არ იცოდა, არ ეცალა. ძლივს აუდიოდა მოჯარებულ საქმეს, ახლა კი ნანობს სუზარი, რომ ვერასდროს საკუთარი თავისათვის ვერ მოიცალა, მაგრამ ნაგვიანვე სინანულს რა ფასი აქვს!

ძალიან ადრე მოტყდა სუზარი.



იმ დღეს მასთან არავინ მოსულა. მოსალამოვდა. ცისკიდურზე წითელი ბრიალა მზე ისე ჩადიოდა, თითქოს აღმოდებული გემი იძირებოდა.

იგი ხვალ ისევ ამოვა, მაგრამ შეიძლება სუზარიმ ვეღარ დაინახოს მისი ამოსვლა, მისმა სხივებმა ვერ შეარხიონ სუზარის გაყინული წამწამები.

„როგორ მომშალა ტკივილმა, რაზე ვფიქრობ?“ — ჯავრიანად გაიფიქრა ავადმყოფმა.

კარგად რომ დაღამდა, ნატა ცხვირჩამოშვებული შემოვიდა ეზოში.

სუზარი ისევ შიშმა შეიპყრო — სად არის ამინა მთელი დღე, რატომ არ დაენახვა მამას?

— შენ რაღაცას მიმაღავ, დედაკაცო! სად არის კო-  
გო?

— შენმა ქალიშვილმა შენი გახარება მოინდომა, ღირსეულ სიძეს მოგიყვანს ოჯახში! — პირქუშად მიუ-  
გო ნატამ, უეცრად თავი ვერ შეიკავა და სიბრაზემ ამო-  
ხეთქა, — ის დღე არ მომასწროს ჩემმა გამჩენმა, თმე-  
ბით ვათრევ იმ გომბიოს! აი, როგორ ჩამიყარა წყალში  
ამდენი შრომა და ამაგი.

— გამაგებინე, რა მოხდა! — სუზარი ნიდაყვებზე  
დაეყრდნო და წამოიწია. მძიმედ სუნთქავდა, გული  
თითქოს ამოვარდნას უპირებდა.

— თხოვდება, მერედა იცი, ვის მიჰყვება? ხუტას,  
ნახარის შვილს. გაიხარე, რომ ასე გაგაბედნიერეს! —  
მიახალა ნატამ.

სუზარის ხმა არ ამოუღია. ისევ ბალიშზე დაასვენა  
თავი და თვალეზი დახუჭა.

მისმა სიხუმემ ნატა მთლად გააგიჟა.

— გესმის, კაცო, ვის მიჰყვება?! იმ ცინგლიან ნაბი-  
ჭვარს! დედა, რა დღეს მოვესწარი, რატომ უშვილოდ არ  
გადავშენდი!

სუზარი დუმდა.

— რას გაჩუმებულხარ, შე არდასაცალებელი! არ  
გესმის, რომ შერცხვენას გვიპირებენ! დროა, შენი სუ-  
ლელი გოგო ჭკუაზე მოიყვანო. ქვრივი რომ ვიყო,  
კეთილი ხალხი შემიცოდებდა, დამეხმარებოდა. შენ კი...

— გაჩუმდი, ქალო, ცოტა დამაფიქრე.

სუზარის გული დასწყდა, რომ შვილმა ეს ამბავი  
დაუმალა...



ამოიხვნეშა და თქვა: — თუ ერთმანეთი უყვართ, ჩვენ რამდენიც არ უნდა ველაპარაკოთ, ხელს მაინც ვერ შეგვშლით.

— თუ ერთმანეთი უყვართ?! — ბრაზიანად გაიმეორა ნატამ. — ერთი ამას უყურე! რას ბოდილობ, კაცო? ვინ უყვარს! ერთი უბადრუკი, გაუნათლებელი ადამიანი?

— გამიგონე...

— მაგ გლახაკმა ისიც კი არ იცის, ვინ არის მისი მამა! ჩემი ქალი რატომ უნდა მივათხოვო ამისთანა კაცს.

— ცდები, ნატა, ხუტა კარგი ყმაწვილია, ტოლ-ამხანაგებში გამორჩეული... ამინაც ბავშვი აღარაა და თუ ხუტა უყვარს, ღმერთმა გააბედნიეროს! — წყნარად უთხრა სუზარიმ.

ნატას იმედი ჰქონდა, ხუტას სახელის გავონება ქმარს გადარევდა. მან კარგად იცოდა, რომ თავმჯდომარე და მისი მოადგილე ხშირად ჩხუბობდნენ, ბევრ რამეში ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ. ვინ იცის, რამდენი მკვანვე სიტყვა უთქვამს ერთსაც და მეორესაც და რამდენჯერ მტრებივით გასცილებიან ერთმანეთს.

— ვერ ხედავ, რა ურცხვად გამოგტაცა ხელიდან ძალაუფლება! ის ცინგლიანი ბიჭი ჯერ კიდევ ტიტლიკანა იყო მიფიცხებული ნახარის კერიაზე, როდესაც შენ ომიდან დაბრუნდი და კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდექი. აქ ყველაფერი შენი ხელით არის გაკეთებული, ის კი...

ნატა სალანძღავ სიტყვას არ იშურებდა, რომ ქმარსა

და ხუტას შუა შუღლი ჩამოეგდო და სუზარი მხარეზე გადაებირებინა.

— შენ ჩვენ საქმეში ნუ ერევი. მე და ხუტა, როგორც იქნება, მოვრიგდებით! — თქვა სუზარიმ.

— შენ რა, ცოცხალ ლეშად გადაიქეცი? ვერ ხედავ, ოჯახის შერცხვენას რომ გიპირებენ!

— ვინც ჭკუა წაგართვა, რატომ მთლად სული არ ამოგხადა?!

ნატამ თავში ხელი შემოიკრა და ტირილით განაგრძო:

— შენ რომ იცოდე, შენი უღირსი ქალიშვილი რა მშვენიერ ყმაწვილს უნდოდა ცოლად... რასიმ ჩოგუას, გულაუთაში სასამართლოში რომ მუშაობს! ბედნიერება კარზე იყო მომდგარი. შენმა ვომბიომ კი რა ქნა! მიწაში ცოცხლად დავიშარხები და იმას არ წავეყვებით. იმისთანა განათლებულ ყმაწვილს ხელი ჰკრა და ხუტასთან გაიქცა... თოხისა და სასხლავის გარდა თავის დღეში რომ არაფერი უნახავს და ვერც ნახავს! თურმე ყოველდამე მასთან დასეირნობს, მე კი მეგონა, რასიმს ხვდებამეთქი. ვაი სირცხვილო! იმ ნაბიჭვარმა ჯერ ქალიშვილი წაგართვა, მალე თავმჯდომარის ადგილსაც დაესაკუთრება. მერე იმასაც მოვესწრები, აქაც შემოვა და იტყვის, ეს სახლი ჩემიაო.

ნატამ არც ახლა დაინდო სუზარი და ყველაზე მწარე სიტყვა უთხრა. ლოგინად ჩავარდნილი სუზარი მიხვდა, რომ ყველაფერი ხელიდან ეცლებოდა და თავის მოტყუება აღარ იყო საჭირო, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში მაინც სჯეროდა, ყველაფერი გავაკეთე, რისი გა-

კეთებაც შემეძლო. ამიტომ ეს გრძნობა ბევრ რამესთან  
არიგებდა სუზარის.

— ვისაც მისი გული აირჩევს, ღმერთმა იმას შეაძგ  
როს! — თქვა მან.

ნატა მიხვდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და  
ამან მთლად გადარია ქალი.

— ღმერთმა ნუ გავითენოთ ხვალინდელი დილა შენ და  
შენს ამინას! — ნატას ცრემლი წასკდა, — დედაჩემის  
საფლავი გათხარეთ და მისი ძვლები ძალღებს გადაუყა-  
რეთ, თუ ამინა იმ ნაბიჭვარს გავატანო! ამინა სულელია,  
ცხოვრებაში რა უნახავს! ამ გამოყრუებულ სოფელს არ  
გასცილებია! ვინც პირველად ტკბილი სიტყვა უთხრა,  
კისერზე იმას ჩამოეკიდა. მაგან რომ თავისი ფასი იცო-  
დეს, იმ მათხოვარს არც კი დაელაპარაკებოდა. სანამ  
ცოცხალი ვარ, ჩემი სიძე ის ვერ გახდება...

— კი მაგრამ, რას იზამ! თუ ერთმანეთი უყვართ,  
შენი წყევლა-კრულვა იმათ ვერ დააცილებს. — ჩაიცი-  
ნა სუზარიმ.

— ის მე ვიცი! — ქადილით თქვა ნატამ და კიბისა-  
კენ გაიწია, — ახლავე წავალ ნახარისთან და ვეტყვი,  
რომ ის ნაბიჭვარი ჭკუაზე მოიყვანოს. თავისი ადგილი  
იცოდეს და თავისი შესაფერი მოძებნოს. დედის საფ-  
ლავს გეფიცები, ახლავე ყველაფერს გავაგებინებ ხუ-  
ტას, ყველა-ფერს...

სუზარი შეშინდა, იგი მიხვდა, რომ ეს ცარიელი მუ-  
ქარა არ იყო და პირზე მომდგარი უკმეხი სიტყვა აღა-  
რა თქვა. ...

ხუტას დედა ფეხშიძე იყო, როდესაც მოხუც ნახა-  
რის ცოლად გაჰყვა.



ნახევარი წელიწადიც არ გასულა — ბავშვი დაიბადა, ხუტა დაარქვეს. თოთო ბიჭმა ფეხის ადგომა ვერ მოასწრო, რომ დედამ ქმარ-შვილი მიატოვა და ვიღაც თავქარიან კაცს ტყვარჩელში გაეკიდა.

შერცხვენილი ნახარი თავის სოფლიდან აფშირთაში გადასახლდა, აქ მისი ამბავი თითქმის არავინ იცოდა.

მართალია, ხუტა მისი შვილი არ იყო, მაგრამ კეთილმა ბერიკაცმა ღვიძლი შვილივით შეიყვარა და შეითვისა პატარა ბიჭი, და ისე გაზარდა, უღედობა არ აგრძნობინა. ხუტამ არ იცოდა, რომ ნახარის შვილი არ იყო.

ხომ გაგიჟდა, ეს ძველი, დაფარული ამბავი რომ გაიგოს! სიცოცხლე გაუმწარდება თავმომწონე ყმაწვილს...

დაფეთებულმა სუზარიმ წამოდგომა სცადა.

— თუ ქალი ხარ, არსად წახვიდე.

— შენ რა გენადვლება, შენთვის ყველაფერი სულ ერთია! — ნატამ თავსაფარს ხელი დაავლო და წასვლა დააპირა.

— იცოდე, ნატა, წახვალ და... ჩვენ ერთ სახლში აღარ ვიცხოვრებთ!

ქალმა ხმა არ გასცა.

ის რომ ახლა გაუშვას, მერე ყველაფერი უკულმა დატრიალდება. ხუტას არ დაინდობს, ყველაფერს ეტყვის და იქვე მოკლავს. სოფლის სასაცილოდ გახდის, ამინასაც გულს მოუწამლავს და მერე ველარაფერი უშველის ორი შეყვარებული ადამიანის ბედნიერებას.

ავადმყოფი კაცი ბარბაცით წამოდგა ლოგინიდან.

— შენ რა, ჩემი შეშინება გინდა? არ ვიცხოვრებთ და ნუ ვიცხოვრებთ! თავი გამანებე, თორემ უარესს ვიზამ, — მიაშვა ნატამ და ზურგი შეაქცია.

— გამიგონე, ნატა, ნუ წახვალ, შემისრულე ეს ერთი სათხოვარი.

ნატა შეჩერდა. იგი ელოდა, რომ სუზარი უყვირებდა, ერთ ამბავს დაათევდა, ამიტომ ქალი წინასწარ ყალყზე იყო შემდგარი, მაგრამ ახლა სუზარის ხმაში იმდენი შიში და წუხილი გამოსჭვივოდა, რომ ნატამ გაკვირვებით შეხედა ქმარს.

— ყველაფერს გაფიცებ, არ წახვიდე, — გაიმეორა სუზარიმ, ის ფეხზე იდგა და ძლივს სუნთქავდა. — გვეყო, რაც უსიხარულოდ ვიცხოვრეთ, ჩვენ შეილს მაინც ავაცილოთ ჩვენი ბედი. მე შენ არაფერში არ გადანაშაულებ, მაგრამ ხომ იცი, ჩვენ ცხოვრება არ გამოგვივიდა...

აივანზე ბნელოდა, სუზარი ნატას პირისახეს ველარ ხედავდა და ეს ლაპარაკს უადვილებდა.

— სად არის ამინა?

— მთელი დღე დავეძებ, — გაუბედავად დაიწყო ნატამ. — ამ დილას ვეჩხუბე და ხუტას ამბავიც ვუთხარი, ვინ არის მისი მამა, ქვეყანაზე არავინ იცის-მეთქი. ეს რომ გაიგონა, ტირილი წასკდა და გამექცა. იმის მერე ვეძებ და ვერ მიპოვნია, სკოლაშიც არ მისულა!

ხელებაკანკალებული სუზარი ხალათს მისწვდა. ნატა ხმას არ იღებდა, თითქოს სიბნელემ შთანთქაო.

„თუ სკოლამდე მივალწიე, მერე ვინმეს გავგზავნი და მოვაძებნინებ, ჯერ კიდევ გვიან არ არის! ყველაფერის გამოსწორება შეიძლება, ოღონდ გულმა არ მიღალატოს და გზაზე არ დავეცე“. — ფიქრობდა სუზარი და ტანზე ძლივს იცვამდა.

ამოვიდა მთვარე. მთელი დღე მზის მხურვალეებით  
გაჯვრებული შემოდგომის სურნელება ახლა უფრო  
მძაფრი და ფიცხი გახდა. მიწა სუნთქავდა მწიფე ბაღ-  
ებისა და ზვრების ბარაქით. ნიაფი აშრიალებდა და-  
ობლებულ, ტარომოტეხილ ჩაღას. სადღაც ბნელში კიდევ  
ისმინდა ურმის ჭრიალი, პატარა ვოგო ორლობეში ვაბ-  
ნეულ ხბოს ეძახდა. სუზარის ბუნდოვნად ესმოდა ეს ყვე-  
ლაფერი. ტკივილისაგან ყვირილი უნდოდა, მაგრამ  
კბილს კბილზე აჭერდა, რომ ერთი ხმა არ დასცდენოდა.

„ოღონდ არ დავეცე, ოღონდ არ დავეცე!“ ეს ერთი  
ფიქრი უტრიალებდა გულში და მთვრალივით მიბარ-  
ბაცებდა ორლობეში.

აგერ სკოლის შენობაც გამოჩნდა. სუზარი ღობეს მი-  
ეყრდნო, რომ სული მოებრუნებინა.

უეცრად კაკლების ხეივნიდან ორი ლანდი გამოვიდა,  
ხელიხელგადახვეულნი მოდიოდნენ და როგორც ჩან-  
და, არსად არ ეჩქარებოდათ. სკოლას გვერდი აუარეს და  
მდინარისაკენ გაუხვიეს.

სუზარიმ შვევებით ამოისუნთქა.

— ამინა! ამინა! ჩემო შვილო! — წაიჩურჩულა  
მან, — დიდება შენ ღმერთო, რომ ყველაფერი მშვიდო-  
ბით დამთავრდა! ბოროტმა ენამ ვერ დაგაცილათ, შვი-  
ლებო!

ამინა და ხუტა კი ისევ ნელა მიაბიჯებდნენ მთვარის  
შუქით გაქათქათებულ მინდორზე.

სუზარიმ სკოლას გადახედა. ის ფანჯრები, ოდესღაც  
ნაკვერჩხალივით წითლად რომ ანათებდნენ, ახლა ჩაბ-  
ნელებული იყო.

— შინ წავიდეთ, არ გაცივდეს, — გაიგონა მან ცოლის გაუბედავი ხმა.

მოიხედა, ნატა შორიახლო იდგა, სწორედ იმ ბილიკზე იდგა, სუზარის გული შუაზე რომ ვადასურა.

ველზე მიმავალი ქალ-ვაჟი ნატამაც დაინახა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— შენ მალავ, რომ ავადა ხარ. მთელი დღე არაფერი გიჭამია; ყველაფერი ხელუხლებლად დამხვდა მაგიდაზე.

სუზარის მოეჩვენა, რომ ქალის ხმა შორიდან, ძალიან შორიდან მოდიოდა.

იგი უხმოდ შეებრუნდა და სახლისაკენ წაჩანჩალდა, ნატა უკან გაჰყვა.

„ეკიძის უნდა დაეუძახო, — გაიფიქრა სუზარიმ, — როგორც ეტყობა, დიდი ხნით ჩაწვეები ლოგინში“.

უეცრად მგლის ყმული მოისმა. ნატა შეკრთა და რატომღაც კმარს შეხედა, მისი გაცრეცილი, ტკივილისაგან დაღრეჯილი პირისაზე რომ დაინახა, მხოლოდ მაშინლა იგრძნო, სუზარის საქმე კარგად ვერ იყო.

მგელი კი ისევ ყმუოდა. ძალღებმაც ყეფა ატეხეს, მაგრამ მგელს ვითომ არც გაუგონია, ყმუოდა და ყმუოდა შემადრწუნებლად.

— ამ საღამოს ადრე დაიწყო! — თქვა სუზარიმ. მან შეატყო, რომ ქალი შეშინდა. მართლაც, ნატას გაგონილი ჰქონდა, თუ სახლის ახლომახლო მგლებმა ყმული დაიწყო, იქ ვინმე გარდაიცვლებაო.

— მგელს კბილები სტკივა, ამიტომ ყმუის. ეს ხშირად ემართება ნადირს, — თქვა სუზარიმ.

ნატა მაინც დამფრთხალი უსმენდა ნადირის მთქმას  
და ხრამისკენ მალ-მალე იცურებოდა.

ბილიკი რომ გალიეს, სუზარი შედგა, უკან მოიხედა-  
ის ორნი ისევ მიდიოდნენ გაქათქათებულ მინდორზე  
და ამ მთვარიანი ღამის გარდა, მათ ახლა მთელ ქვეყა-  
ნაზე სხვა არაფერი და აღარავინ აღარ უნდოდათ.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

თეთრი ცხინი . . . . .	5
ჩაუქრობელი ცეცხლი . . . . .	15
ორენ შვეითაღ . . . . .	<b>31</b>
თაქარას თვალები . . . . .	44
სავსე მთვარე . . . . .	63

Гогоу Алексей Ночевич

ГЛАЗА ТАКАРЫ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1969

რედაქტორი ც. ჩხაიძე

მხატვარი ო. ჯიშკარიანი

მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე

ტექნორედაქტორი ლ. ქვარცხავა

კორექტორი ლ. სულთანოვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-69 წ.

ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>

ნაბეჭდი თაბახი 4,2

სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო თაბახი 3,3

ტირაჟი 5.000

ფასი 17 კაპ.

შეკვ. № 5006

Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5  
ვაჭრობის მინისტრის განკარგულებაში, მარჯანიშვილის ქ. № 5  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-  
ვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვე-  
ლობის სტამბა № 2, „ნაკადული“, ფურცელადის ქ. 5  
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома  
Государственного Комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5

20/45



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

